№ 2748
შაბათი,
19 თებერვალი

ცნობის ფურცელი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატე[illegible]—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის [illegible] № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და [illegible] მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896–1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, [illegible] დღის 11—1-[illegible] საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ბოლოს ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ჭიათურის შავი-ქვის საბჭოს მოსამსახურენი, აგრეთვე განსვენებულის ამხანაგნი და ნათესავნი აუწყებენ თავიანთ ნათესავთა და პატივისმცემელთ, რომ კვირას, ოცს თებერვალს, მღვიმევის ღვთის-მშობლის დედათა მონასტერში გადახდილ იქნება ორმოცის წირვა, ხოლო პანაშვიდი დაბა ჭიათურაში საფლავზედ უდროოდ გარდაცვალებულ და საუკუნოდ დაკარგულის ძვირფასის სამთო ინჟინერის

პოლიევქტო ნიკოლოზის ძის შატილოვის

სულის მოსახსენებლად. (3—6.—3)

დიდი ვაჭრობა

[illegible] პირველი ამხანაგობა მომზადებულ ტანისამოსის ძმ. აკოფჯანოვებისა და [illegible] ნიკოლოზის ხიდი, სახლი ქამოევისა № 25-30.

[illegible] დიდ-ძალი საქონელი შეიკრიბა—კაცთა, ქალთა და ბავშვთა დამზადებული ტანისამოსი,—ჩვენ გადავწყვიტეთ დავნიშნოთ სულ **იაფი ვაჭრობა** 20 დღით 1 თებერვლიდან 20 თებერვლამდე. ფასები ქარხნისაზე ნაკლებია. ფასები ულაპარაკოდ. (150—17)

სახაზინო თეატრი ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
შაბათს, 19 თებერვალს, 1905 წელს ი. ა. კელლერის საბენეფისოდ
წარმოდგენილი იქნება:
„მინიონი“, ოპერა 3 მოქ., მუსიკა ტომასი
მონაწილეობენ: ქ-ნნი: ორელი, მიხაილოვა, შიხუტსკაია და სხ. ბ-ნნი: ბოგდანოვიჩი, სპერანსკი, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი მიკლაშევსკი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე
20 თებერვალს—ორი წარმოდგენა

გაიხსნა

ველ იანვრიდან ტფილისში ვოკზლის ქუჩაზე, არამიანცის სახლში № 3 კავკასიის სატეხნიკო კანტორა

„საზომი და საწყაო“

და იმასთან სასწორისა და გირების პირველი კავკასიური სპეციალური სარემონტო და შესაკრები კი (შეიძლება გადაკეთება, შეკეთება, გამოწონა) ინჟენერ-ტეხნოლოგების ი. ს. კაცისა და ს. გ. დუქელსკისა. (10—5)

ტფილისის
[illegible] სამკურნალო
[illegible]იშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
1. ნ. **ჟიჟინაძე.** კბილის 8—9 საათ.
ნ. ვ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—
[illegible] —ყურისა, [illegible]
[illegible]
[illegible] და შაბათობით 11—12.
ა. გედევანიშვილი [illegible] ბის: 12—1 ს.
1. **ქალი მ. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და [illegible], სამშ. [illegible] და შაბათ. 12—1 ს.
ქ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთი სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩ. (კუკიის [illegible] სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9.
[illegible] 34 Б.
ტელეფონი № 274.

ექიმი
[illegible]ილოვი
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 119. აკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—19)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
მადათოვი: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი [illegible]შვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

ქუთაისში
[illegible] ექიმი
[illegible] ქინაშვილი
[illegible] **პოლიცეისკის ქუჩაზე** წმ. ნინოს ქალების გიმნაზიის პირდაპირ. იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე. (30—0198—30)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—15)

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7
მიწეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—22)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართონ ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (25—14)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
17 თებერვალი.

ბერლინი. პრინცი ლეოპოლდ პრუსიელი გენუიდან აღმოსავლეთ აზიაში წავიდა. მაიორი რუნკელი, რომელიც მუკდენში იყო გაგზავნილი უმთავრესს სადგომში, [illegible]

[illegible] ომის გაგრძელება შეუძლიან და არც ზავის ჩამოგდება. გაზეთი მსჯელობს იმაზე, რომ შესაძლებელია უცხო სახელმწიფოები ჩაერიონ რუსეთის შინაგან საქმეებში და ფიქრობს, რომ მაშინ ზავის ჩამოგდების შესახები საკითხიც უცხო სახელმწიფოების შუამდგომლობით გარდაწყდებაო. გაზეთი ამბობს, რომ ყოფილა ასეთი მაგალითები და კიდეც მოჰყავს ეს მაგალითები. სამხედრო მოქმედებათა უბრალო შეწყვეტა, ომის ბოლო იქნებოდაო. იაპონიას კი არ სურს, რომ ომს ერთი ამგვართაგანი ბოლო დაურჩესო.

ვენა. ტისსა გოლუხოვსკისთან რჩევის შემდეგ დაბრუნდა უკან ბუდაპეშტში. მან განუცხადა კორესპონდენტს, რომ წარუდგენს იმპერატორს ახალ წინადადებებს. რადგანაც კრიზისია, ამიტომ ხმებია, რომ მომავალში ვეკსერლეს მოიწვევენო.

ქრისტიანია. ხაგერუპის სამინისტრომ სამსახურს თავი დაანება. ხაგერუპი ხსნის ამ გადაწყვეტილებას და აცხადებს, რომ საჭიროა გამოკვლეულ იქნას დაწვრილებით ორთავე ქვეყნების დამოკიდებულებანი. თუ ნორვეგიის განაპირ ნაციონალურ მოთხოვნილებების ასრულება შეუძლებელია სახელმწიფოს თანამედროვე წესწყობილების დროს, მაშინ საჭიროა გამონახულ იქნას უფრო ფართო ასპარეზი, რომ ორმავე ერმა შეერთებულის ძალით შეიმუშავოს. კრონპრინც-რეგენტმა მიიღო თხოვნა დათხოვნის შესახებ და განაცხადა, რომ მას არ შეუძლიან რაიმე გადაწყვეტილება დადგეს, რადგანაც საქმის ვითარება არაა ჯერ გამოკვლეული.

პარიზი. ადმირალი დუბასოვი პეტერბურგს წავიდა. გარდაიცვალა ჰილლიომი, რომში საფრანგეთის აკადემიის ყოფილი დირექტორი.

ვენა. აქ საშინელი აღელვებაა საჭირო ქაღალდების დაკარგვის შესახებ. ეს ქაღალდები ინახებოდა ბერლინში, ავსტრიის საელჩოში. ხმებია, ვითომც კლიტის გატეხისა და ქურდობის ჩადენის საქმე ერთს მაღალ-ადმატებულს დიპლომატს მოუხერხებინოს. მან ეს ჩაიდინა, რათა არ გამოაშკარავებულიყო, რომ მან დასახელებული დოკუმენტები [illegible] მისცა უცხო სახელმწიფოს.

ლომჟა. ლომჟის გუბერნიაში გამოცხადებულია გაძლიერებულ დაცვის დებულება.

პარიზი. ნაღმოსნის გემის № 24 კომანდორის ყოფილს ორდინარცს, ეხლა სასტუმროს უფროს დაქიას გარენს, მოუპარავს შერბურგში რკინის ყუთი, სადაც 650 ფრანკი, სამობილიზაციო და შერბურგის პლანები ყოფილა.

პეტერბურგი. რაც ხელთა გვაქვს, იმ ცნობებით, რიცხვი პეტერბურგელ სტუდენტებისა, რომელნიც ზაბასტოვკის წინააღმდეგნი არიან, თანდათან მატულობს და ეხლა უკვე ათას ხუთასამდე კაცს განუცხადებია სურვილი სწავლის განგრძობაზე.—17 თებერვალს გენ.-ადიუტანტი სტესელი წარუდგა ცარსკოე სელოში მისს უდიდებულესობას, რის შემდეგ ღირსი გახდა მიწვეულ-ყოფილიყო მათ უდიდებულესობათა საუზმე.

18 თებერვალი.

პეტერბურგი. მინისტრთა კომიტეტის უმაღლესად დამტკიცებულ დებულების ძალით დადგენილ იქნა: I. ნება მიეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს: 1. დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს სამი თვისა დღიდან ამა დებულების დამტკიცებისა, მოახდინოს განკარგულება გაუქმებულ იქნას ყველა ის ადმინისტრატიული განკარგულებანი, რომელნიც პირდაპირ კანონზე არაა დამყარებული და რომელიც ავიწროვებს სარწმუნოების თავისუფლებას, გარდა იმათა, რომელნიც შემდეგ პუნქტშია მოხსენებული; 2. თუ სარწმუნოების თავისუფლების შემავიწროვებელ განკარგულებათა რიცხვში აღმოჩნდება ისეთები, რომელთა ძალაში დატოვება სახელმწიფო წეს-წყობილების მოსაზრებით აუცილებლად საჭიროა, იმ შემთხვევაში ამისთანების დასამტკიცებლად აღებულ იქნას სახელმწიფო საბჭოს შუამდგომლობით უმაღლესი ნებართვა; 3. მიღებულ იქნას ნამდვილი [illegible]-ყურის სადევნებელი ზომები, რომ არც ერთს ადმინისტრატიულ დაწესებულებას და პირს არ შეეძლოს მიაყენოს ვინმეს სარწმუნოების აღიარებისთვის ისეთი შევიწროება, რაც კანონებში არაა მოხსენებული. II). მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს: 1. კვლავ აღარ მისცეს ნება იხელმძღვანელონ რელიგიის საქმეებში იმ დებულებით, რომელიც შეეხება სახელმწიფო წესწყობილების დაცვას და პოლიციურ თვალყურის დევნებას; 2. დაუყოვნებლივ შეწყვეტილ იქნას ყველა იმ ადმინისტრატიულ ზომების ხმარება შემდეგისათვის, რომელნიც მიღებულ იყო რელიგიის საქმეში; 3. მიენდოს უწყებათა მთავარ უფრო- [illegible] ზავნილი არიან გაუსამართლებლად მათის სამუდამო საცხოვრებელ ადგილებიდან, ანა და თავისუფლებას მოკლებულნი არიან რელიგიოზურ შეცდომათა და ამ შეცდომებზე აღმოცენებულ დანაშაულობისთვის.

ლონდონი. ლონდონის სიტში დიდათ შეწუხებული არიან კომერსანტები, რომელთაც საქმე აქვთ დაჭერილი რუსეთთან. განსაკუთრებით თავზარდაცემულია ის კომპანიებიც, რომლებიც კავკასიის ნავთს აწარმოებენ. თითმა უმთავრესმა კომპანიამ გაგზავნა კავკასიაში თავიანთი დირექტორები, რადგანაც ბაქოში არეულობანია და საშიში მდგომარეობა, როგორც ბაქოში, აგრეთვე კავკასიის ყველა ადგილებში.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
17 თებერვალი.

სევასტოპოლი, 16 თებერვალი. აქ მისული ამერიკელი ინჟენერები და ცნობილი გამომგონი ახალ ტიპის სამხედრო გემებისა მილიონერი ნიქსონი შეუდგნენ ადგილობრივ საადმირალოში ახალი ტიპის გემების კეთებას.

პეტერბურგი. გავრცელებული ხმები, ვითომც შანხაიში უყურადღებოთ ექცეოდნენ დაბრუნებულ პორტ-არტურელებს, გამოძიების შემდეგ, ოფიციალურად უსაფუძვლოდ ცნობილ იქნა. ერთად-ერთი შემთხვევა, როცა პორტ-არტურელები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნენ, ეს 24 იანვარს იყო. გემი „ტუნგუზი“, რომელზედაც შვიდასი მგზავრი იყო, მოვიდა შანხაიში იმ დროზე ადრე, რომელიც ჩიფუდან გამოგზავნილ დეპეშაში იყო ნახსენები და ამიტომ გენერალურ საკონსულოს ნავი ვერ დაახვედრეს. მგზავრები კერძო შლიუპკებით უკვე გადმოსულიყვნენ ნაპირას და წასულიყვნენ ქალაქში, მაგრამ ჩქარა ყველანი იპოვნეს და მოათავსეს მათთვის დამზადებულ სადგომებში. საკონსულოსთვის არავის საყვედური არ განუცხადებია. რადგანაც არც დრო იყო საკმაო და თანაც ჩინელების ახალი წელიწადი იყო, ამიტომ ღამით ცუდი სადგომები დაურჩათ, მაგრამ დილით კი შეუცვალეს უფრო მოწყობილებზე. საგენერალო საკონსულო, სამხედრო აგენტები, სამსახურის კაცები შანხაიში ყველანი მეტ მზრუნველობას იჩენენ, რათა, რაც შეიძლება, კარგად იყვეს საქმე მოწყობილი...

ნიუჩაუნი. იაპონიის კავალერიის რაზმი დაეცა სინმინტინს საცა მუკდენში წასასვლელად გამზადებული ვაგონები დაუხვდათ. მოკლულია ერთი ყაზახი, 2 გაქცეულა. იაპონელებმა დაათვალიერეს იქაურობა და პანჩატუნისაკენ დაიწიეს, სადაც შეტაკება უნდა მოხდეს. კანპანგში, რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ, დაქსაქსულია ბევრი იაპონელი, ჩინურად გადაცმული. ჩენჩოუში ბევრი საკვები სურსათია დამზადებული. [illegible] აქ კანპანძაში სიმშვიდეა. გზები იაპონელების ხელშია. ცნობაა, რომ კუროპატკინის ჯარის მარცხენა ფრთამ 6 მილით წაიწია წინ. („რეიტერი“).

პარიზი. ამ დღეებში ფრანგულ ენაზე გამოვა კლადოს წიგნი რუსეთის ფლოტის შესახებ. წიგნის ავტორი ამტკიცებს, რომ აუცილებლად საჭიროა ახალი ძლიერი ფლოტი გაკეთდესო. კლადოს აზრით, თუ ომი რუსეთის დამარცხებით გათავდა, მაშინ უნდა მოვემზადოთ მეორე ომისთვის იაპონიასთანო.

გენერალ ოკუს ჯარი, 13 თებერვალი. (რეიტერი.) იაპონიის მარცხენა ფრთამ უკან დააწევინა რუსეთის მოწინავე რაზმებს, რომელთაც პაცემუნის მიდამოები ეჭირათ, ლიაოს სამხრეთ-აღმოსავლეთს ნაპირას. დღე და ღამ რკინის გზის დასავლეთისა მთელ მიდამოში საშინელი ზარბაზნის სროლაა. იაპონელებმა შეინარჩუნეს პოზიციები ისე, რომ დიდი ზარალი არ უნახავთ. გუშინ ღამით რუსეთის ქვეითა ჯარის ხუთი როტა არტილერიით დაეცა ლანტინს. საათ ნახევარის ბრძოლის შემდეგ რუსებმა დაიხიეს, დასტოვეს ბრძოლის ველზე 60 მოკლული. იაპონელთა ზარალი 50 კაცს არ სჭარბობს. უკუგდებულ იქმნენ აგრეთვე ის პატარა რაზმები რუსებისა, რომელნიც ბევრ სხვა ადგილებს დაეცნენ.

პეტერბურგი. ფიქრობენ კავკასიაში დააარსონ სანამესტნიკო. ნამესტნიკის ადგილზე ნიშნავენ, როგორც ხმა დადის, სახელმწიფოს საბჭოს წევრს გრაფს ვორონცოვ-დაშკოვს.

პარიზი. საპარლამენტო კომისიამ, რომელიც ეკკლესიის სახელმწიფოდან ჩამოშორების პროექტს იხილავდა, დაამთავრა თავისი მუშაობა. [illegible] ცვლილება. [illegible] პროექტი. [illegible] ზე არაა საკმაო მკვიდრათ საქმე, ბერლინში შეფერხებულია, პარიზში სუსტათაა, რუსეთის ფონდების საქმე უფრო სუსტათაა. ახალი სესხი ბერლინში—95 და სამი მეოთხედი. ამერიკული ბამბის ფასი თებერვლისათვის 3,98 პენსია. ლივერპულში ბამბის საქმე მკვიდრია.

ხარკოვი. დღეს დაასაფლავეს არტისტი შუვალოვი. კუბო ხელით მიჰქონდათ. აუარებელი გვირგვინები იყო. გაზეთების რედაქციებმა ხელის მოწერა გამართეს ძეგლის ასაგებად.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. 17 თებერვალს მიღებულ დეპეშებიდან დაინახავდით, რომ 15 და 16 თებერვალს იაპონელები და რუსები ბრძოლას განაგრძობდნენ. სოფ. კუდიაზასთან და ტომაგუშანთან (კუდიაზას ახლოს, სამხრეთ-დასავლეთით), სოფ. უბენეპუზასთან და გოტულინის უღელტეხილთან მედგარი ბრძოლა ყოფილა. სოფ. უბენეპუზასთან იაპონელებს გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ შტიკებით აუღიათ შუა სიმაღლე და რუსებს უკან, „უფრო გამაგრებულ სიმაგრისაკენ“, დაუხევიათ. გოტულინის უღელტეხილზე იაპონელებს ორი წინა სიმაგრე ჯერ ზარბაზნებით დაუნგრევიათ და მერე აუღიათ; რუსებს აქაც უკან დაუხევიათ. 15 თებერვალს სოფ. კუდიაზა კიდევ რუსების ხელში იყო. მდ. შახეზე იაპონელები საალყე ზარბაზნებს უშენდნენ რუსის პოზიციებს სოფ. სანდეპუდან ვიდრე გოტულინამდე. სხვათა შორის, 11 დიუიმიან ყუმბარებსაც უშენდნენ, მეტადრე პუტილოვი[illegible] და ნოვგოროდის გორებს. იაპონელებს მდ. შახეზე იერიში მიუტანიათ სოფ. ნინშინპუზე, მაგრამ, როგორც გენ. კუროპატკინი იუწყება, რუსებს ეს იერიში მოუგერებიათ.

გენ. კუროპატკინი სწერს, იაპონელების საალყე არტილერია მცირე ზარალს გვაძლევსო. სულ სხვას სწერდა ხოლმე გენ. სტესელი: 11—დიუიმიან ყუმბარებს ვერაფერი ვერ უძლებსო.

ეხლა რუსის ლეიტენანტი ვილნეკიც დაწვრილებით ასწერს „რუსკოე სლოვო“-ში, რა დღე დააყენეს 11—დიუიმიანმა ყუმბარებმა პორტ-არტურს; ჯარსაც დიდ ზარალს აძლევდნენ და ყოველ ნაირ სიმაგრეს ხელად მტვრად აქცევდნენ ხოლმეო.

იაპონელების შესანიშნავ თარეშზე „მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტი სწერს: იაპონელები სულ მოულოდნელად გაჩნდნენ რუსის არმიის უკან. ეს თარეში, ალბად, სამხედრო პლანს შეაცვლევინებს რუსის მთავარ-სარდალსაო. („რ.“).

პოლკოვნიკი გედკე სწერს „ბერლინერ ტაგებლატ“-ში, რუსის სარდლებს უთანხმოება მოსდით ერთმანეთთანაო: გენ. კუროპატკინის ახლობელი თანამშრომლები რუსის არმიის მარცხს მთავარ-სარდალს აბრალებენ, მთავარ-სარდალი-კი ამ ბრალს რუსის გენერლებს სდებს. წინად ზასულიჩსა და შტაკელბერგს აბრალებდა, ეხლა გრიპენბერგსა და თვით არმიის საყვარელს, მოხუც ლინევიჩსაც სდებს ამავე ბრალს. მთავარ-სარდალი სჩივის, გენ. ლინევიჩს მოთმინება აკლიაო, გენ. გრიპენბერგმა-კი ნამეტანი თაოსნობა გამოიჩინაო. რუსის არმია ამ ჟამად მტრის არმიის წინა დგას და თაოსნობა მხოლოდ მთავარ-სარდალს უნდა ეკუთვნოდესო. („რ.“).

რუსეთის ახალი სამხედრო სესხი. რუსეთი ახალ სამხედრო სესხის გამოცემას აპირობდა პარიზში. „ვ. ალგ. ცაიტუნგ“-ს დეპეშით ატყობინებენ პარიზიდან: საფრანგეთის უმაღლეს ფინანსისტთა წრეებმა შეატყობინეს გარეშე საქმეთა მინისტრს დელკასეს: ეხლანდელ გარემოებაში რუსეთის ახალ სესხის გამოცემა თითქმის შეუძლებელიაო. ფინანსისტთა დეპუტაციამ გამოუცხადა დელკასეს, საფრანგეთის ბანკებსა და ბანკირთა სახლებს არ შეუძლიანთ, ყურადღება არ მიაქციონ სამხედრო მოქმედების ვითარებას მანჯურიაში და რუსეთის შინაგან ამბებსაო. საფრანგეთის საზოგადოებას აღარა აქვს რუსეთის გამარჯვების იმედი და ამიტომ რუსეთის ახალ სესხს ეჭვის თვალით უცქერისო. საფრანგეთის დიპლომატთა წრეებში ჰფიქრობენ, ფრანგ ფინანსისტების განცხადებამ იმოქმედა რუსეთის მთავრობაზე და ზავის ჩამოგდება მოანდომებინაო. („ო. ნ.“).

კონტრ-ადმირალ ნებოგატოვის რაზმი. 2 თებერვალს რუსეთის მესამე ესკადრის პირველი რაზმი ლიბავიდან გავიდა და შორეულ-აღმოსავლეთს გაემართა. ამბობენ, ამავე ესკადრის მეორე რაზმი მაისში წავაო. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმომხილველი ბ. ვ. მ. სწერს: „რუს“-ის კორესპონდენტს შეუტყვია, ესკადრაში სულ ხუთი მებრძოლი გემიაო. საესკადრო ჯავშნიანი გემი მეორე კლასისა „იმპერატორი ნიკოლაი I“, სანაპირო ჯავშნიანი გემები „გენერალ-ადმირალ აპრაქსინი“, „ადმირალ სენიავინი“ და „ადმირალ უშაკოვი“ და ძველი ნახევრად ჯავშნიანი კრეისერი „ვლადიმირ მონომახი“; ამას გარდა ესკადრასა ჰყავს: 2 მაშველი კრეისერი „რუსი“ და „დონი“, ტრანსპორტი-კრეისერი „ოკეანე“ და 5 ქვანახშირის მზიდველი გემი, ასე რომ სულ 13 გემი ჰყავს. კონტრ-ადმირალ ნებოგატოვის პატარა რაზმის მომზადებას შარშან 2 ოქტომბერს შეუდგნ ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის უმალ და 5 მებრძოლ გემის მზადებას ოთხ თვეს მოუნდნენ, თუმცა ეს ბი დიდი ხნის აშენებულია და 6- წლამდე ზღვაში დადიან. კაცს ძალ ბურად ინგლისის სარეზერვო ესკადრ დება ახსენდება. ინგლისის სარეზერვ კადრამ ამ დღეებში ბრძანება მიიღო, ში გადით და საბრძოლველად მოემზადეთ; ესკადრა—8 საესკადრო ჯ გემი—დევონპორტიდან 4 საათის გავიდა სრულიად მომზადებული ველად. ინგლისში მშვიდობიანობ სარეზერვო ფლოტის საომრად მხოლოდ 4 საათი სჭირია, რუსებს [illegible] დროს პატარა რაზმის მომზადებას 4 დასჭირდა, თუმცა ეხლა ყველა სარეზერვო გემიც კი ყოველ წამს მზად უნდა იყოს საომრად. და ეს იმის შემდეგ ხდება, როცა რუსის ფლოტის დამარცხებას ოფიციალურად იმით ჰხსნიდნენ, რომ რუსის ფლოტი „მზად არ იყო ზღვაში გასასვლელად და მტერთან საბრძოლველადაო. რუსეთმა უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში თითქმის 2 მილიარდ. (ორი ათასი მილიონი) მანეთი დახარჯა თავის ფლოტზე, ეს ფლოტი-კი მზად არ იყო თავის ერთად-ერთ დანიშნულების შესასრულებლად... კ.—ადმ. ნებოგატოვის ესკადრა მეტად ნელად [illegible] და ადმ. როჟესტვენსკის ესკადრას [illegible] მადაგასკაზე 30 აპრილზე ადრე ვერ [illegible] მანამდე ადმ. როჟესტვენსკის ესკადრამაც ძალა-უნებურად მადაგასკარს ახლო უნდა მოუცადოს, რადგან კ.—ადმ. ნებოგატოვის სუსტი რაზმი მარტოკა ვერ ჩავა შორეულ-აღმოსავლეთს და ადმ. ვირენიუსის ესკადრასავით იძულებული იქნება, უკან ლიბავაში დაბრუნდეს. ასე რომ ადმ. როჟეს-

[illegible]ე ვერ წავა წყნარ ოკეა[illegible]. მაშასა[illegible] გინდ როჟესტვენსკიმ მესამე ესკადრის მეორე რაზმსაც არ მოუცადოს, რუსეთის ბალტიის ფლოტი შორეულ-აღმოსავლეთს ივნისზე ადრე ვერ მივა. (მადაგასკარიდან სინგაპურამდე 3,400 მილია). თუ იაპონიის ფლოტი რუსის ფლოტს გზაში არ მიეგებება, მაშინ ზღვა[illegible] ბრძოლა მხოლოდ ზაფხულის დღეებ[illegible] მოხდება. „დეილი ტელეგრაფ"-[illegible] უწყებოდა, ადმ. კამიმურას ესკადრა ამას წინად ინდოეთის ოკეანეს [illegible]ავალში გაჩნდაო. მაგრამ რუსის [illegible]დრები ისე ნელა ემზადებიან შორეულ-აღმოსავლეთს წასასვლელად და ისე ნელა, მძიმედ დადიან ზღვაში, რომ იაპონელებიც აღარა შურობენ რუსის ფლოტის საბოლოოდ დამარცხებას და ნელ-ნელა, თან-და-თან ადმ. ტოგოს ფლოტს აძლიერებენ. ბოლოს დროს, სხვათა შორის, ხელახლად გავრცელდა ხმა, იაპონიამ ჯავშნიანი გემი მეორე რანგისა „კაპიტან პრატ"-ი იყიდა ჩილისაგანაო. და ეხლა ჩილის მთავრობასაც აღარ უარ-უყვია ეს ხმა. [illegible]-კი, ვითომ რუსეთმა არგენტინასაგან თითქმის მთელი ფლოტი იყიდაო, გადაჭრით უარ-ჰყო არგენტინის მთავრობამ. რადგან ადმ. კამიმურას მარტო კრეისერები ჰყავს, ინდოეთის ოკეანეშიაც, ალბად, რუსის ფლოტის დასაზვერადა და ქვა-ნახშირის მზიდველ გემებზე დასაცემად თუ წავიდა კამიმურა... გზაში, როცა 60—70 სატრანსპორტე გემი 15—20 მილის მანძილზე გაიჭიმება, ამ ნელა მავალ გემების დაცვა მეტად ძნელია. რამდენიმე მსწრაფლ-მავალი ჯავშნიანი, გინდ პალუბა-ჯავშნიანი კრეისერი რომ უცებ დაეცეს სატრანსპორტო გემების ქარავანს, ადვილად შეუძლიან ან ზედ შუაზე გასწყვიტოს ქარავანი, ან ბოლო მოსჭრას; ნელა მავალი ჯავშნიანი გემები ვერას უშველიან ქარავანს. საშველად კიდევ მსწრაფლ-მავალი გემები უნდა წავიდნენ, ნელა-მავალი გემები-კი მხოლოდ ტყუილ ბარგად გაუხდება ესკადრას. მაინც იაპონიის ფლოტი უმთავრესად თავის მსწრაფლ-მავლობის წყალობით სჯობნის რუსის ფლოტს... ამას იქით რუსის ფლოტს ზღვაში დიდ-ხანს ყოფნისაგან უფრო შეუმცირდება სწრაფლ-მავლობა... 1904 წლის 1 ოქტომბრიდან 1905 წლის 1 ივნისამდე, როცა რუსისა და იაპონიის ფლოტის პირველი შეტაკებაა მოსალოდნელი, 8 თვე შესრულდება. ამ ხნის განმავლობაში რუსის გემები ერთხელაც არ შესულან დოკებში თავიანთ ძირების გასაწმენდად და ვერც [illegible] გომ თავისი ჯავშნიანი გემები დოკებში შესაკეთებლადაც არ გაგზავნოს, მაინც იმის გემებს ბევრი არა დააკლდება-რა. მიმომხილველის ვარაუდით, მომავალ ზაფხულის დამდეგს ადმ. ტოგოს ჯავშნიან გემებს საათში 14 მილის გავლა შეეძლებათ, როჟესტვენსკისას-კი მხოლოდ 12 მილი.

„ეკო დე პარი"-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან, ადმ. როჟესტვენსკის აფიცრებიდან ბევრი დაბრუნდა მადაგასკარზე, რადგან რუსის მეზღვაურებში მოარული სენი გავრცელდაო. ადმ. ფელკერზამის რაზმის შეერთება ადმ. როჟესტვენსკის ესკადრასთან ორს კვირაზე დაგვიანდება, რადგან ადმირალებმა რუსეთის საზღვაო მთავარ-შტაბის ბრძანება უნდა შეასრულონ. ირწმუნებიან, ადმ. როჟესტვენსკის ძლიერ აწუხებს და მოქმედებას უშლის მთავარ-შტაბისაგან დამოკიდებულებაო. („ს.").

ხმები ზავზე. „ნიუ-იორკ ჰერალდ"-ის კორესპონდენტი იუწყება პეტერბურგიდან: რუსეთის მინისტრებმა თათბირი მოახდინეს ზავის ჩამოგდებაზე. ყველა მინისტრი ზავის მომხრე აღმოჩნდა, თუმცა ზავის პირობაზე სხვა-და-სხვა აზრი გამოსთქვეს. ერთს მინისტრს ვკითხე, იმედია ზავი მალე ჩამოვარდეს, თუ არა, მეთქი. მინისტრმა მიპასუხა: მეც ზავის მომხრე ვარ, მაგრამ მაინც არა მჯერა, რომ ზავს მალე მოვესწროთ. ჩვენ, რუსები, მუდამ ვაგვიანებთ. ომისათვის მეტად გვიან დავიწყეთ მზადება. ზარბაზნები და თბილი ტანისამოსიც მეტად გვიან გავუგზავნეთ ჯარს. მეორე ესკადრა კიდევ მეტად გვიან გავგზავნეთ, მესამეს გაგზავნაც მეტად დავაგვიანეთ. დარწმუნებული იყავით, რომ ზავზე ფიქრსაც მაშინ დაიწყებენ ჩვენში, როცა მეტად გვიან იქმნებაო". („ნ.").

ნამესტნიკობის აღდგენის გამო

გუშინ ტელეგრაფმა გვაუწყა სრულიად მოულოდნელი ამბავი: კავკასიაში აღდგენილია 1883 წელს გაუქმებული ნამესტნიკობა და ნამესტნიკიც უკვე დაუნიშნავთ.

მოულოდნელად ამ ამბავს იმიტომ ვნათლავთ, რომ რუსეთის თანამედროვე მდგომარეობას სრულიად არ შეეფერება ნამესტნიკობის სადმე დაარსება ან აღდგენა. ყველას აქვს გაგებული იმ „გამანთავისუფლებელ მოძრაობის" მნიშვნელობა და ხასიათი, რომელიც ასეთის სიძლიერით სწარმოებს ეხლა რუსეთში. ეს მოძრაობა მიმართულია აწინდელ ბიუროკრატიულ ცენტრალიზმის წინააღმდეგ,—იმ ბიუროკრატიულ წესწყობილების წინააღმდეგ, რომელმაც დიდ გასაჭირში ჩააგდო რუსეთი შინაც და გარედაც და რომელიც სრულიად აღარ შეეფერება სახელმწიფოს თანამედროვე გართულებულ ცხოვრებას. ბიუროკრატიამ დაჰკარგა ხალხის ნდობა, დაჰკარგა შემოქმედებითი ძალა, დაჰკარგა უნარი ახალ მოთხოვნათა გაგებისა და დაკმაყოფილები[illegible] ეს 20 წელიწადია, თუ მეტი [illegible] იმისი ძალ-ღონე [illegible] ნიჭი მხოლო[illegible] მხოლოდ [illegible] თავისთვის იხარჯება. [illegible]ობამ წესი აუგო ბიუ[illegible]ას და დღეს ყველასათვის ეჭვს გარეშეა, რომ ხალხის და საზოგადოებრივ ძალების დაუხმარებლად რუსეთის სახელმწიფო თავს ვერ დააღწევს საერთო კრიზისს. ვერც მუშათა უპირველეს მოთხოვნათა, ვერც გლეხთა უსაჭიროეს აგრარიულ საჭიროებათა, ვერც საზოგადოების უფლებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ბიუროკრატია ვერ შესძლებს; ამიტომ ეს ანორმალური მდგომარეობა ვერ მოისპობა და სახელმწიფოს მშვიდობიანი წინსვლაც შეუძლებელი გახდება, სანამ ბიუროკრატია ძლეული არ იქნება...

კერძოთ ჩვენი მხარეც ამავე მდგომარეობაშია. სწორედ ძლევამოსილმა ბიუროკრატიამ აწეწ-დაწეწა საქმეები, არივ-დარია ყველაფერი. განუსაზღვრელ უფლებებით აღჭურვილმა ბიუროკრატიამ ფეხქვეშ გათელა ხალხის ინტერესები, ეროვნებათა კანონიერი მისწრაფებანი და საზოგადოებრივი ძალები. ცრუ-პატრიოტობამ, ძალით გარუსების სისტემამ, [illegible]ებამ, თავდაუჭერელმა თვითნებობამ, ხალხისა და საზოგადოებისადმი სრულმა უნდობლობამ სრულიად დააბრმავა ბიუროკრატია და ვერ დაანახვა, რომ ხალხიცა და საზოგადოებაც, ქვეყნის მშრომელი ელემენტებიც და ერებიც გაიზარდნენ, განვითარდნენ და დღეს ის აღარ არიან, რაც გუშინ იყვნენ. დღეს მათმა გაძლიერებულმა თვით-ცნობიერებამ იფეთქა და გენიოსი ბიუროკრატიც რომ გაჩნდეს, ველარ მოახერხებს წინანდებურად მათს დამონავებას. იმის გაგების ნიჭიც დაჰკარგა რუსეთის თანამედროვე ბიუროკრატიამ, რომ აქ საქმე სისტემაშია და არა პიროვნებაში. Da ist der Hund begraben! რაც უნდა კეთილისმყოფელი ადამიანი იყოს მთავარი ბიუროკრატი, ის ვერ დაამყარებს კაცთა შორის სათნოებას და ქვეყანასა ზედა მშვიდობას, თუ იგი თავის განუსაზღვრელ ადმინისტრატიულს უფლებებს მოიხმარს მხოლოდ იმისთვის, რომ აწინდელი წესწყობილება დაიცვას; თუ იგი ხალხისა და ერების საჭიროებათა დაკმაყოფილებას მოინდომებს მხოლოდ თავის საკუთარის შეხედულებითა და ძალ-ღონით. გაჰქრა ის დრო, შორს წავიდა ის ბნელი ეპოქა, როცა ბიუროკრატია რეპრესიულის საშუალებითა და „ნახევარ ზომებით" ახერხებდა ქვეყნის დამონავებასა და ხალხის ინტერესების უყურადღებოდ დატოვებას!.. ახლა მთელი შეგნებული რუსეთი ენერგიულად ითხოვს მთელის სისტემის შეცვლას, რადგან „სადავო საკითხი სავსებით გამოირკვა": 1) ხალხს (ჩვენ დავუმატებთ კიდევ—ერებს) ფართო და თავისუფალი თვითმმართველობა უნდა, ხოლო ბიუროკრატია და თვითმმართველობა ერთმანეთის საწინააღმდეგო მოვლენაა; 2) ხალხს ძირითად ეკონომიურ-ფინანსიურის რეფორმების მოხდენა ჰსურს, ბიუროკრატიამ-კი ვერ შესძლო და ვერც შესძლებს იმათ გან[illegible]რციე[illegible] საზოგადოებრივი [illegible] მისცა.

[illegible] ტენდენცია, ასეთია [illegible]ულის მომენტის კათეგორიული იმპერატივი! მოდით ეხლა და ასეთს ტენდენციას შეუფარდეთ უფლება-განუსაზღვრელის ნამესტნიკობის დაარსება. ნამესტნიკობა იმ სახით, და იმ უფლებით, როგორც წინად იყო, უარისყოფაა თავისუფალ თვითმმართველობისა; იგი უფრო აღამაღლებს ბიუროკრატიის მნიშვნელობას, ესე იგი, კიდევ უფრო დათრგუნავს საზოგადოებრივ ძალებს, ურომლებოდ დღეს, დღევანდელ რთულ პირობებში, ქვეყნის საქმეებს ვერ დავალაგებთ და საჭირო მშვიდობიანობას ვერ აღვადგენთ. ცეცხლს ნავთი რომ გადაასხა სწორედ ეს არის...

როგორც ვიცით, დღეს რუსეთის მთავარ წრეებში გადაწყვეტილია „საერო კრების" მოწვევა. გაზეთები არას ამბობენ იმის შესახებ, იქნება თუ არა განაპირა ქვეყნების ან არა რუსთა წარმომადგენლობა იმ კრებაში. მაგრამ ყველაფერი შესაძლებელია, ჩვეულნი ვართ და კარგს არაფერს უნდა მოველოდეთ: ძალიან ადვილი წარმოსადგენია, რომ ჩვენი ქვეყანა სწორედ იმიტომ განაცალკავეს განსაკუთრებულ სანამესტნიკოდ, რომ მშრალზე დაგვტოვონ და აგვაცილონ შიდა რუსეთში მოსალოდნელი რეფორმები. ეს გარემოება ყველას გვავალებს კიდევ უფრო ენერგიულად ამოვიღოთ ხმა ჩვენის დაჩაგრულის ინტერესების დასაცველად; კიდევ უფრო მაღლა აღვიაროთ, რომ ადამის დროინდელ წესებით არ შეიძლება ქვეყნის მართვა, არ შეიძლება იმ საჭიროებათა დაკმაყოფილება, რომელნიც კარს მოგვადგა ასე მედგრად და შეუპოვრად!..

ამ საკითხის გადაწყვეტა ჯერ-ჯერობით ორნაირად შეიძლება: ან სუყველაფერში გაგვათანასწორონ შიდა რუსეთთან ან და, თუ ნამესტნიკობა აუცილებელია, ნამესტნიკმა ადგილობრივ საზოგადოებრივ ძალების და ხალხის მონაწილეობით უნდა ჰმართოს ქვეყანა. უკანასკნელი არც ისე ძნელი ასასრულებელია, რადგან რუსეთის იმპერიაში კიდევაც არის ერთი „განაპირა ქვეყანა", რომელიც ამ წესითა და რიგით იმართება... ნამესტნიკს ჩვენში ექვემდებარებოდა განსაკუთრებული საბჭო და ეხლაც არის დაწესებულება (მთავარ-მართებლის საბჭო), რომელიც მთავარი განმხილველია და აღმასრულებელი ყველა ადგილობრივ კანონებისა და ღონისძიებათა. მაგრამ ეს საბჭო ნამდვილი ბიუროკრატიული დაწესებულებაა და, როგორც ამგვარი, სავსებით აღჭურვილია ბიუროკრატიის ცნობილ ნაკლულევანებებით. თუ ამ ძველს ნაშთს ახალი სული არ ჩაჰბერეს, იგი უღონო და მკვდარი მეხანიზმი იქნება, რომელიც მალამოს ვერ დასდებს ჩვენს მრავალ ჭრილობათ. ხოლო, თუ იგი განახლებულ იქნა საზოგადოებისა და ხალხის-მიერ თავისუფლად არჩეულის წარმომადგენლებით, მაშინ, რუსეთის საერთო საერო კრებასთან ერთად, მოახერხებს ჩვენის ძირითად[illegible]როებების დაკმაყოფილება[illegible]!

აი, ამ სა[illegible] [illegible] ელემენტი, და [illegible] ღონე, თორემ „ჩვენე[illegible]და-ძველებურადა" დაუდევრობა შემდეგში ბევრად უფრო გაგვიძნელებს საქმეს.

განი

ახალი ამბავი

◆ როგორც ვიცით, 1905 წელს **ამიერ-კავკასიაში რუსების გადმო[illegible]** და იმათ მოსაწყობად ხაზინამ დიდ-ძალი ფული გადასდო. ამ ფულიდან ტფილისის გუბერნიაში დასახარჯად მთავარ-მართებელმა დანიშნა 33,700 მანეთი.

◆ გუშინ, 18 თებერვალს, ტფილისის ქალაქის მოურავმა თავისის დეპეშის პასუხად შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფის თავ. **სვიატოპოლკ-მირსკისაგან** მიიღო შემდეგი დეპეშა: „დიდად აღფრთოვანებული ვარ ტფილისის საბჭოს ერთსულოვან ჩემდამი მოსალმებით. გთხოვთ გადასცეთ ბ-ნ ხმოსნებს ჩემი უგულითადესი მადლობა". საბჭოს გადაწყვეტილებით ქალაქის მოურავმა [illegible] მირსკის შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „[illegible]ფილისის ქალაქის საბჭო ღრმა მ[illegible]არებით აღნიშნა[illegible] თქვენის ბრწყინვალების მიერ შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობ[illegible] თავის დანებება და გადასწყვიტა გამოგ[illegible]ოთ გრძნობანი უსაზღვრო პატივის-ცემისა თქვენის დიდად ნაყოფი[illegible] სახელმწიფო [illegible]ამსახურისათვის. მხურვალე[illegible] ვიმედოვნ[illegible] რუსეთი მ[illegible] და ვრცელ[illegible] ლად სასამ[illegible]

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზა [illegible]** რუსეთის რკინის გზათა მთავარ-გამგეობას, რომ 14 თებერვლიდან განახლდა საქონლის და სანოვაგის გადატან-გადმოტანა ამიერ-კავკასიის მთელ ლიანდაგზე. არ იღებენ მხოლოდ იმ საქონელს, რომელიც ფოთსა და ბათუმიდან საზღვარ-გარედ უნდა გაიგზავნოს, რადგან დამტვირთავები არიან გაფიცულნი.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მუშებმა 16 თებერვალს ათ საათზე **თავი გაანებეს მუშაობას**, შეგროვდნენ თავიანთ კანტორის წინ და მოითხოვეს, რომ მათთან მოსულიყო რკინის გზის უფროსი ინჟინერი ივანოვსკი. როდესაც ბ-ნი ივანოვსკი მოვიდა, მუშებმა წარუდგინეს ქაღალდი, სადაც 16 სხვა-და-სხვა მოთხოვნილება იყო აღნიშნული და, სხვათა შორის, რვა საათის მუშაობა (ეხლა ცხრა საათი აქვთ); თხოულობენ აგრეთვე საკუთარ ექიმს, ბილეთებს და სხვას. რკინის გზის უფროსი დაჰპირდა, რომ ამ ცოტა ხანში შეგატყობინებთ პასუხსაო. ამ ლაპარაკის შემდეგ მუშები დაიშალნენ და წავიდნენ სამუშაოდ.

◆ როგორც **ქუთაისიდან გვატყობინებენ**, ადგილობრივ ქალთა გიმნაზიის კარებზე გაკრულია ასეთი განცხადება: მთავრობის კანკარგულებით სასწავლებელი დაკეტილია".

◆ ბაქოს გაზეთებში უკვე იბეჭდება პოლიციის [illegible] ოქაული: [illegible] წელწი[illegible] ში. [illegible] ბის ალ[illegible] არ გამიწე[illegible] წესიერების დ[illegible] ჩემ ნაწილში მ[illegible] ერთი ვზოდი, [illegible] 2 საათ[illegible] როტა პოლკოვნიკის[illegible] როსობით. როდესაც ჯ[illegible] ლიდა დოლაბანდის ბრძ[illegible] ლებოდა, მაგრამ მერე ხ[illegible] იკრიბებოდა. მე პირადად,—ამბობს [illegible]ოქაული,—[illegible]თხოვე პოდპ. კუზმინსკის სალდათებს ტყუილად ჰაერში გაესროლათ თოფები, რომ ბრბო გაფანტულიყო. მაგრამ იმისაგან შემდეგი პასუხი მივიღე: „თქვენი საქმე არ არის. ჩვენ თვითონ ვიცით, რა უნდა გავაკეთოთო". როდესაც ეს გავიგონე, შეწყობისათვის აღარ მიმიმართავს. ჩამობნელებისას ჯარი წავიდა და მაჰმადიანნიც,

ფელეტონი

წითელი სიცილი *)

ან. ჩეხოვის სახსოვრად

[illegible]ყვეტები ნაპოვნ ხელთნაწერიდან.

ნარკვევი მეექვსე

[illegible]ენი ჩვენები იყვნენ. ის უცნაური არეუ[illegible] [illegible]ძრაობა, რომელიც სუფევდა ამ ბოლო[illegible] [illegible]როგორც ჩვენ, ისე მტრებს შორის, [illegible]ბდა, რომ ჩვენზედ მოდიოდა მტრის [illegible]რპუსი. ყველაფერი მზადა გვქონდა [illegible]სატანად, როდესაც ვიღაცამ ნათ[illegible]ა დურბინდში ჩვენი ტანისამოსი; [illegible] შემდეგ ყველანი დარწმუნდნენ და [illegible] ეს ჩვენები იყვნენ. იმათაც, [illegible]ნეს ჩვენ. ისინი გვიახლოვდებოდნენ [illegible]ნარით და ამ წყნარ მოძრაობაში [illegible]ვენსავით ბედნიერ ღიმილს მოუ[illegible]ედრისას.

[illegible]ოდესაც უთ იწყეს სროლა, ჩვენ კარგა ხანს ვერ გავიგეთ თუ რას ნიშნავდა ეს, ისევ ვიღიმებოდით, თუმცა ტყვიის სეტყვამ ერთბაშად გამოგვაცალა ხელიდან ასიოდე კაცი. ვიღაცამ დაიყვირა ჩვენს შეცდომაზედ—მე მშვენივრად მახსოვს—ჩვენ ყველამ დავინახეთ, რომ ისინი მტრები იყვნენ და ტანისამოსიც იმათი იყო და არა ჩვენი. დაუყოვნებლივ სროლითვე ვუპასუხეთ. ასე თხუთმეტ წუთის შემდეგ ამ საშინელ ბრძოლის დაწყებისა მე მომწყვიტა ორივე ფეხები და მოვედი გონს მხოლოდ ლაზარეთში, ამპუტაციის შემდეგ.

ვიკითხე, რით გათავდა ბრძოლა მეთქი, მაგრამ როგორღაც დამშვიდებული პასუხი მივიღე, რომლიდანაც მივხვდი, რომ ჩვენ დავმარცხდით, მერე ჩემი უფეხობა მოვიგონე და სიხარულმა ამიტაცა, იმის გამო, რომ მე სახლში გამგზავნიან, რომ მე მაინც და მაინც ცოცხალი ვარ—დიდის ხნით, სამუდამოდ. მხოლოდ ერთის კვირის შემდეგ გავიგე ზოგიერთი დაწვრილებითი ამბავი მომხდარ ბრძოლისა.

დიახ, მგონია, ესენი ჩვენები იყვნენ—და ჩვენმა საკუთარმა ზარბაზნის ყუმბარამ, ჩვენივე სალდათების ნასროლმა მომწყვიტა ფეხები. ვერავის ვერ აეხსნა, როგორ მოხდა ეს. რაღაც მოხდა, რაღაცამ დაუხშო თვალები და ერთისა და იმავე ჯარის ორმა პოლკმა, ერთი მეორის მოშორებით მდგომმა, ჟლეტა დაუწყო ერთმანეთს. ორივე დარწმუნებული იყო, მხოლოდ მტერთანა აქვს საქმე. იგონებდნენ ყველანი ამ შემთხვევას. გასაკვირველი ის იყო, რომ მოლაპარაკეთ ეტყობოდათ უნდობლობა თავიანთ შეცდომის აღიარებისა. სწორედ რომ ვსთქვათ, ისინი აღიარებენ თავიანთ შეცდომას, მაგრამ ეგონათ, რომ იგი მოხდა გაცილებით გვიან, დასაწყისში კი ნამდვილად მტერთან ჰქონდათ საქმე, რომელიც ამ აურ-ზაურში მე თვით დარწმუნებით არ შემიძლიან ვსთქვა, როგორ მოხდა ეს საშინელი გაუგებლობა, რადგან ძლიერ ნათლად ვხედავდი ჯერ ჩვენს წითელ ფორმას და მერე მტრის ტანისამოსის ფორმას. ყველამ როგორღაც ჩქარა დაივიწყა ეს შემთხვევა; ლაპარაკობდნენ მაზედ, როგორც ნამდვილ შეტაკებაზედ. და ამ აზრით დაიწერა და გაიგზავნა ბევრი გულწრფელი კორესპონდენცია, რომლებიც მერე სახლში წავიკითხე. ჩვენ დაჭრილებს ამ ბრძოლაში როგორღაც უცნაურად გვეკიდებოდნენ. თითქოს ჩვენ ნაკლებად ვეცოდებოდით, ვიდრე სხვა დაჭრილები, მაგრამ შემდეგში ყველაფერი ეს შესწორდა. მხოლოდ ახალი შემთხვევები, ზევით აწერილის მზგავსები, და ის, რომ მტრის ჯარში ორმა გუნდმა ერთი ერთმანეთი სულ ამოჟლიტა,—მაფიქრებინებს, რომ აქ შეცდომა იყო.

ჩვენი ექიმი, ის, რომელმაც მე ამპუტაცია გამიკეთა, გამხმარ-გამხმარი, კნაჭა, დაბერებული, აყროლებული იოდოფორმით, თამბაქოს ბოლით და კარბოლით, სულ მუდამ რაღაცაზედაც იღიმებოდა თავის მოყვითალო ქერა, თხელ ულვაშებში. თვალების ხამხამით მეუბნებოდა იგი:

— ბედი თქვენია, რომ მიდიხართ სახლში. აქ საქმე როგორღაც რიგზედ ვერ არის.

— რა იყო განა?

— არაფერი, ისე ვერ არის რიგზე. ჩვენ დროს უფრო უბრალოთ იყო.

ის იყო მონაწილე უკანასკნელ ომისა, რომელიც ამ ოცდა ხუთი წლის წინად მოხდა. იგი ხშირად სიამოვნებით იგონებდა ამ ომს. დღევანდელ ომისა-კი არა ესმოდა-რა და, როგორც შევიტყე, ეშინოდა კიდეც.

— დიახ, ვერ არის რიგზედ,—ამოიოხრა მან, შეიჭმუხნა და დამალა თამბაქოს ბოლის ღრუბლებში.—მე თვით გავემგზავრებოდი სახლში, რომ შესაძლო იყოს.

დაიხარა ჩემსკენ და წაიჩურჩულა ყვითელ შემურულ ულვაშებ[illegible]:

— ჩქარა დადგება ისეთი წამი, როდესაც აქედან ცოცხალი ვერავინ წავა. დიახ. ვერც მე, ვერც სხვა,—და იმის ბებერ თვალებშიაც დავინახე რაღაც შეშინებული და ჩლუნგი განცვიფრება. რაღაც საშიშმა, აუტანელმა გამორბინა თავში, რომელიც მაგონებდა ერთბაშად ათას შენობის დანგრევას. შიშისაგან ამაცივა და წავიჩურჩულე:

— წითელი სიცილი.

ის იყო პირველი, რომელიც მიმიხვდა მე. სასწრაფოთ დააქნია თავი და დასტურით მითხრა:

— დიახ, წითელი სიცილი.

ძლიერ ახლოს მომიჯდა იგი. დაიწყო აქეთ-იქით ყურება, ჩურჩულით, აჩქარებით. ბებრულად პატარა ჭაღარა წვერის ცანცარით ამბობდა:

— თქვენ ჩქარა მიემგზავრებით და გეტყვით: განახავთ როდისმე ჩხუბი საგიჟეთში? არა? მე კი მინახავს. ისინი ჩხუბობდნენ, როგორც კარგათ მეთოფნი. გესმით: როგორც კმაყოფილნი! გესმით: როგორც კარგა მეთოფნი!—მან რამდენჯერმე დიდმნიშვნელოვნად გაიმეორა ეს.

— მერე რა?—ისევ ჩურჩულით ვუპასუხე შეშინებულმა.

— არაფერი. როგორც ჯანმრთელნი.

— წითელი სიცილი,—ვსთქვი მე.

— ისინი წყლით გააშველეს.

მომაგონდა წვიმა, რომელმაც ისე შეგვაშინა ჩვენ, და გავჩუმდი.

— თქვენ ჭკუაზედ შეცდარხართ, ექიმო!

— თქვენზედ მეტად-კი არა მაინც და მაინც, თქვენზედ მეტად-კი არა.

მან ჩაჰჭიდა ხელები თავის ბებრულს, ჩონჩხად ქცეულს მუხლებს, დაიწყო ქანაობა და ხითხითი. მე როგორღაც გვერდზედ მიყურებდა თავის გამხდარ მხრებიდან, რამდენჯერმე ეშმაკურად ჩამიკრა თვალი,—ვითომც მარტო მე და იმან ვიცოდით რაღაცა ძლიერ სასაცილო, რაც არ იცოდა არავინ სხვამ. მერე დიდებულად, ვით ჯადოქრობის პროფესორი, რომელიც აჩვენებს მაყურებელთ თავის თვალთმაქცობას, ასწია ხელი მაღლა, თანასწორათ დაუშო, შეეხო საბნის იმ ადგილს, სადაც უნდა ყოფილიყო ჩემი მოჭრილი ფეხები.

— თქვენ ეს გესმით?—საიდუმლოდ მკითხა მან.

მერე ისევ დიდებულად და დიდმნიშვნელოვნად შემოავლო ხელი საწოლებს, რომლებზედაც იწვნენ დაჭრილნი, და გაიმეორა.

— შეგიძლიანთ თქვენ ეს ამიხსნათ?

— დაჭრილნი არიან,—ვუთხარი მე:—დაჭრილნი.

— დაჭრილნი,—განიმეორა მან:—დაჭრილნი, უხელ-ფეხონი, დაფლეთილ მუცლებით, დაჭეჭყილ გულით, ამოცვენილ თვალებით. გესმით ესა? ძლიერ მიხარული ვარ. მაშ, თქვენ ამასაც გაიგებთ?

მის ხნისათვის, მოულოდნელი სიცქვიტით გადატრიალდა და დადგა ხელებზე,—იწყო ჰაერში ფეხების ქნევა, თეთრი ხალათი ჩამოეხჩა ძირს, სახე სისხლით აევსო. მიყურებდა გაშტერებით უცნაურ გადმობრუნებულის შეხედულობით და ძლივ-ძლივს ისროდა სიტყვებს:

— მაშ ესეც.... აგრეთვე... გესმით?

— დაწყნარდით,—შეშინებით წავიჩურჩულე:—თორემ დავიყვირებ.

იგი აღმობრუნდა, მიიღო ბუნებრივი მდგომარეობა, კვლავ დაჯდა ჩემ საწოლთან, დაიწყო განიავება და დარიგებით შენიშნა:

— არაფერს არ ესმის ეს.

— გუშინ ისევ სროლა იყო.

— გუშინაც იყო სროლა, გუშინ-წინაც, იმის წინაც,—თანხმობით ჩაიქნია თავი.

— მე მინდა სახლში!—ნაღვლიანად ვსთქვი მე.—ჩემო კარგო ექიმო, მინდა სახლში წავიდე. არ შემიძლიან აქ დარჩენა. მე თითქმის აღარა მჯერა, რომ არის სადმე სახლი, სადაც ისე კარგია ყოფნა.

ის რაღაცაზედაც ფიქრობდა, არ მიპასუხა და მე ტირილი დავიწყე:

— ღმერთო ჩემო, მე არა მაქვს ფეხები. მე ის [illegible] ვაქანავებდი ხოლმე ძილში, ის კი სულ ღვიძავდა, ეხლა-და... იყავით წყეულნი! რად უნდა წავიდე? მე ხომ ჯერ მარტო ოც-და-ათის წლისა ვარ... იყავით წყეულნი!

ვქვითინებდი, ვქვითინებდი, რომ მაგონდებოდა ჩემი მშვენიერი, მარდი, ღონიერი ფეხები. ვინ მომჭრა ფეხები? ვის ჰქონდა უფლება იმის მოჭრისა.

— ყური მიგდეთ,—სთქვა ექიმმა და გვერდზედ მიიხედა:—გუშინ ვნახე: ჩვენსას მოვიდა ჭკუაზედ შეცდარი სალდათი, მტრის სალდათი, იგი თითქმის სულ ტიტველა, ნაცემი, ნაკაწრი და მშიერი იყო, როგორც პირუტყვი. თმა ძლიერ გაზრდოდა, როგორც ჩვენ, ისე რომ სულ ჰგავნდა ველურს პირველდასაწყისის დროისას, მაიმუნს. იგი იქნევდა ხელებს, იგრიხებოდა, მღეროდა, ყვიროდა და იწევდა საჩხუბრად. მას აჭამეს და გააგდეს უკან—მინდორში. მერე რა ვუყოთ იმათ, სად შევინახოთ? დღე-და-ღამ დაფლეთილ-დაგლეჯილები, ბოროტ სულებსავით დაძრწიან ისინი მინდორში წინ და უკან, ყოველ მხარეს, უგზო უკვლოდ, უაზროდ, უადგილონი. იქნევენ ხელებს, ხარხარებენ, მღერიან ყვირიან, და როცა ჰხვდე-

---

*) იხ. „ცნობ. ფურც." № 7744

გაზეთი «ცნობის ფურცელი» ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვ 5 მ. 75 კაპ., 10 თვ. 5 მ. 20 კაპ., 9 თვ. 5 მ., 8 თვ. 4 მ. 50 კაპ., 7 თვ. 4 მ., 6 თვ. 3 მ. 50 კ., 5 თვ. 3 მან., 4 თვ. 2 მ. 60 კ., 3 თვ. 2 მან., 2 თვ. 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოისეროლ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება „პოსტის“ მარკებათ გამოიგზავნოს.

1 თებერვლიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი“ ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კ.-პ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

...სპარსეთის ქვეშევრდომნი, ...აზიების ძარცვას“. შემდეგ ...ის უთქვამს: „9 თებერვალს, ...თვითონ დავინახე შემდეგი: ...ლკის კაპიტანმა ბახტამოვმა ...დაუშინა გამვლელ მაჰმადია... ...ავმა საშინლად აღელვა მაჰმა... ...მიტომ ვთხოვე პოლკის უფროსს, ...ი უკანვე დაებარებინა“. მეორე ...სადაც ...ის ბო... ...ელი იყო, სულ ...30 მაჰმადიანი, 6 ...და ერთი ებრაელი.

...18 თებერვალს, დილით, რო... ...ას უმთავრეს სახელოსნოში ...ნინ, უცნობი ...ცე... ...დარაჯებს, ეს... ...ივე **დარაჯი** ...ალი აუკლიათ ...და დამალულან. ...მოხდა რკინის ...ურეთა კრებები ...ახებ მოსალ. აპარა... ...ის მთავრობამ ნე... ...**ლიკვიდაცის და** ...**ეთა კრებებიც.**

...**ბაქოს პოლიცმეისტრად** დროებით ...ნეს პოლკოვნიკი შუჩინსკი. ძველი ...ცმეისტერი, კაპიტანი დმინსკი, გადაა...

◆ გუშინ, 18 თებერვალს, ბაქოში თავ. ...რის თავმჯდომარეობით მოხდა იმ ...ის პირველი სხდომა, რომელმაც **ბა... ...ომხდარი ამბები** უნდა გამოიკვლიოს.

◆ როგორც რეონიდან გვატყობინებენ, ...ილას, სადაც ონანოვების მამულში ... გზის შტო შედის, დამზადებული ...კინის გზის მიერ ნაყიდი შეშა, 228 ...რი საჟენი და თვით ანანოვებისაც ... კუბიკური საჟენი. 18 თებერვალს, ... ვილაცამ ამ შეშას ში... ადგილას ...**ი წაუკიდა.** ცეცხლმა საშინელის სი...ით მოედო. ჯარი დაიბარეს და მხო...ომმოცი საჟენი გადაარჩინეს. ანანო...ულ გადაიწვა.

◆ მოგვივიდა საყმაწვილო **ჟურნალი ...ილი“** № II. შინაარსი: ...ხის ...ოხინა“,— დ. თომაშვილისა, ...“,—ტასოსი, „თა...ისა, „სამართლიანი ...ესასწაულო სახუ... ...თხუნელას ლლაპის ...ისა, „გლეხი, დათვი ...ი ს. დათეშიძისა, ...ასტიხი, მიხვედრილი ... ახსნა, „ხ...არი“, ლექ... ...“, ფარნგუ... ...იასი, ... პავლიაშვილ...

...ისა, წვრილმანი: შარადა.

◆ რადგან ავლაბრის ხიდზე ელექტ... ...ხის გაგონებმა უნდა დაიწყონ სიარული, ქალაქის გამგეობასა და ბელგიის უსახელო საზოგადოებას შორის მიწერ-მოწერაა იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მკვიდრია ეს ხიდი. უსახელო საზოგადოების ინჟინერს მკვიდრად უცვნია ეს ხიდი.

◆ ადმინისტრაციამ დაამტკიცა თანამდებობაზე დუშეთის ქალაქის რწმუნებულებად არჩეულნი. აი, მათი გვარები: კორინთელი კორგი, მარტირუზოვი ალექსანდრე, ყარანგოზიშვილი ვლადიმერ, ყარანგოზიშვილი ერთოთოზი, ბარათაშვილი ნიკოლოზ, გრიგოლოვი ანდრია, ბარათაშვილი ალექსანდრე, ტაბურაძე ზაქარია, მირაქოვი გრიგოლ, ქუსიევი ყარამანი, ერივანდ აპრელოვი და მარტირუზოვი ივანე. კანდიდატებად: შადინოვი ალექსანდრე, ათოევი გიორგი, ბარათაშვილი არტემ, ეშკოვი ივანე და ასილოვი გრიგოლ.

◆ 24 თებერვალს ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნულია საქმე მიხეილ არამიანცისა, რომელსაც გრიგოლ განჯუმიანცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება. არამიანც იცავს პეტერბურგელი ნაფიცი ვექილი მირონოვი.

◆ ს ა დ. ს ა ნ ა ი ნ ი. 18 თებერვალს, ღამის პირველ საათზე, რკინის გზის ზეინკალს პროკოფი პასშინს, რომელიც ალავერდის ქარხნიდან მოდიოდა, ვილაცამ ესროლა რევოლვერი და იქვე მოჰკლა.

◆ სადგურ ხაშურიდან გვატყობინებენ, რომ 17 თებერვალს ორთქლ მავალის კარი გაიღო, ალი გამოვარდა და მომუშავე ილია შიუკაშვილს დაეწვა სახე და მარჯვენა ხელი. იქვე 17 თებერვალს მომუშავე ზაქარა მანჩხაშვილი გადმოვარდა ცისტერნი ვაგონიდან და თავი ძალზე დაუშავდა.

◆ იალტის გიმნაზიის დირექტორმა აცნობა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ იალტის გიმნაზიასთან დაარსდა ფიზიკურად უძლურ მოსწავლეთათვის პანსიონი. პანსიონი მოწყობილია ჰიგიენურად. მსურველთ შეღავათიანის პირობებით შეუძლიანთ ისარგებლონ. დირექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, დანიშნოს სტიპენდიები აღნიშნულ პანსიონში.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გუშინ დაავალა უბნის ტეხნიკოს-არქიტექტორებს, არავითარი ცვლილება არ შეიტანონ ხოლმე იმ გეგმებში, რომელიც კერძო კაცებს დასამტკიცებლად შეაქვთ გამგეობაში, თუ ამაზე ხელწერილით თანხმობა არ იქნება შენობათა გეგმების პატრონებისაგან.

◆ ტფილისის საყასპოს სალახებმა, როგორც აღნიშნული გვქონდა, იანვრის ბოლო რიცხვებში გაფიცვა მოახდინეს და სხვა-და-სხვა მოთხოვნილებებით მიმართეს სათანადო მთავრობას. სალახთა არტელის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ზრუნვას ტფილისის ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა. ამ ჟამად გამგეობა ადგენს წესდებას სალახთათვის სახელმძღვანელოდ. სხვათა შორის, გამგეობამ მიმართა [illegible] ხარკოვისა და მოსკოვის ქალაქის გამგეობას [illegible] მოწყობილი ეს საქმე საყასპოებში.

◆ 17 თებერვალს თელავის მცხოვრებმა [illegible] დასარ პ. ჭკუიანოვმა პოლიციის მე-7 ნაწილში განაცხადა, რომ ჩემთან მოსამსახურედ მყოფმა ზაქარია ოგრ.ტიშვილმა 120 მანეთად ღირებული ორი დიდი ვერცხლის ქამარი მომპარა და სადღაც გადაიმალაო. ქურდს დაეძებენ.

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, ტფილისის ქალაქის გამგეობას მინგრელსკის პოლკის უფროსმა სთხოვა, დაეთმო ავლაბარში ადგილი ჯარისთვის თოფის სასროლ სავარჯიშოდ მოსაწყობად. გუშინ ნავთლუღში ადგილების დასათვალიერებლად იყო ქალაქის მოურავი და ქალაქის მიწების გამგე ს. ზ. მირზოევი.

დ ე პ ე შ ა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 18 თებერვალი. როგორც ხმა დადის, ბაქოში საომარ დროის წესრიგი იქმნება შემოღებული და არსდება გუბერნატორზე უფრო მაღალი თანამდებობა. ამ თანამდებობაზე ინიშნება გენერალ-ადიუტანტი თავ. ი. გ. ამილახვარი.

ბათუმი, 18 თებერვალი. გემების დატვირთ-გადატვირთვა ჯერ კიდევ შეჩერებულია. 17 იანვარს შესწყდა დატვირთვა რუსის და რუსეთის სანავოსნო საზოგადოებათა გემებისა. მხოლოდ ექვსი კაცი და რამდენიმე სალდათი მუშაობს. ბათუმს გამოსაგზავნ და აქედან გასაგზავნ საქონელს აღარ იღებენ. ქალაქმა მიიღო საელექტრონო სადგურის მოწყობილებანი. გადმოტვირთეს ეს ნივთები ქალაქის მუშებმა. მანთაშევის ქარხანაში მუშაობაა. როდშილდისაში ყველანი არ არიან. ხმა დადის, რომ აჭარაში დიდი უკმაყოფილებაა სხვა და სხვა წესებისა. ამბობენ, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მცხოვრებთა მოთხოვნილებით დაკეტა სასოფლო გამგეობებიო. საჭიროა და სასურველი ამ მოძრაობის გამოკვლევა. მგონი, დიდი მსგავსება აქვს გურიის მოძრაობასთან.

ქუთაისი, 18 თებერვალი. გუშინ, 17 თებერვალს, სოფელ ქვიტირში დაასაფლავეს მეწულე ხაბურზანია, მოკლული 14 თებერვალს ქუთაისში არეულობის დროს. ქუთაისიდან ცხედარი გააცილა 13,000 კაცამდე. კუბოს ამკობდა გვირგვინები შესაფერის წარწერით. ეკკლესიის გალავანში წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. ქუთაისიდან წასულნი საღამოზე დაბრუნდნენ.

ბათუმი, 18 თებერვალი. ეს არის ეხლა დიდ მეჩეთის ეზოში შეიკრიბნენ დიდ-ძალი მაჰმადიანები, ქართველები, სომხები და რუსები. შეკრებილთ გამოუცხადეს ერთმანეთს ძმური სიყვარული. წარმოითქვა მრავალი სიტყვა [illegible] წარმომადგენლების მიერ. [illegible]

ახალი და ძველი

5.

19 თებერვალი!.. მთელი რუსეთის იმპერია იხსენიებს ამ დიდებულ დღეს, როცა გამოცხადდა დიადი რეფორმა, როცა დაიმსხვრა მონობის ბორკილი და მრავალ მილიონ ყმათ პირადი თავისუფლება მიენიჭა.

43 წელიწადმა განვლო მას შემდეგ, მაგრამ 19 თებერვალი ვერ ჩაჩრდილა ვერც ერთმა დღემ; ხალხის ხსოვნაში ჯერ მხოლოდ ეს დღეა ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი, რადგან სწორედ ამ რეფორმამ დაუდო საძირკველი მშრომელ ხალხის ახალ ცხოვრებას.

მას შემდეგ მხოლოდ წელს გაუღიმა რუსეთს იმედმა ახალი „გაზაფხულის“ მოახლოვებისამ. ამ „გაზაფხულმა“ უნდა დააგვირგვინოს ის შენობა, რომლის საძირკველი სწორედ 1861 წელს ჩაიყარა. მაშინაც განთავისუფლება იყო, ახლაც განთავისუფლება უნდა მოხდეს,—განთავისუფლება ბიუროკრატიულ ბატონ-ყმობისაგან. თუ რუსეთის საუკეთესო მამულიშვილთა ეს იმედი განხორციელდა ისე, როგორც მაშინ ბელინსკისა და დობროლიუბოვის წინასწარმეტყველება ახდა, რუსეთის ხალხის ხსოვნაში კიდევ აღიბეჭდება ერთი დიდებული თარიღი, ღრმა მნიშვნელობისა და დიადის ეპოქის დამწყები თარიღი...

ორმოცი წელიწადი დიდი დროა, რომლის განმავლობაში ხალხი აღიზარდა და საზოგადოება მომწიფდა; ცხოვრება ძველს კალაპოტში ველარ თავსდება და დაჟინებით თხოულობს ახალს განთავისუფლებას, ახალს **19 თებერვალს!..**

ლასი.

რუსეთის ქრონიკა

მინისტრთა კომიტეტი. 11 თებერვალს შესდგა მინისტრთა კომიტეტის საგანგებო საბჭოს სხდომა და, სხვათა შორის, საერო კრებაზე (ზემსკი სობორი) ჰქონდათ მსჯელობა. უმრავლესობის აზრით, ისეთ საერო კრების მოწვევა, რომელიც ნამდვილად შეეფერება ეხლანდელ საჭიროებათ, შეუძლებელია სხვა-და-სხვა პირობების გამო, რომელნიც თხოულობენ წინასწარ მოწესრიგებას. ზოგმა წინადადება შემოიტანა ყურადღება მიექციათ სპერანსკის პროექტისათვის. ამ პროექტით უნდა დაწესებულიყო ხელმწიფის სათათბირო, რომლის წევრებად უნდა ყოფილიყვნენ არჩეული პირები არა უმეტესს რამდენიმე ასისა. ბოლოს განხილვა საერო კრების საქმისა გადაიდო განუსაზღვრელ დროისათვის.

ბევრი კამათი გამოიწვია უნივერსიტეტების გაფიცვამ. კომიტეტის ზოგ წევრის აზრით, უმთავრესი დამნაშავენი ამ საქმეში პროფესორები არიან—ვერ ახერხებენ ახალგაზრდობა მეცნიერების გზაზე დააყენონო, და თუ იმათ თავის მოვალეობად მხოლოდ ლექციების კითხვა მიაჩნიათ, აღარ ვარგებულანო. სახალხო განათლების სამინისტრომ წინადადება შემოიტანა—ისეთი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ ვისაც სურს, იმას მაინც შეეძლოს სწავლის განგრძობაო; თუ მაინც ვერ მოხერხდა სწავლის დაწყება, დაინიშნოს ეკზამენები და, ვინც არ გამოცხადდება პირველ კურსის სტუდენტი, გამორიცხულად ჩაითვალოს; შემდეგ, ახალ სტუდენტების მიღების შემდეგ თუ ვაკანსია დარჩა, ისევ მიიღონ ეს გამორიცხული სტუდენტებიო. დიდი თანაგრძნობა არ გამოუწვევია გენერალ გლაზოვის ამ წინადებას. საქმე დაუმთავრებელი დარჩა და შემდეგისათვის გადაიდო. („რუს“).

გაფიცვა. რიგა-ორლოვის, ვისლის, სიზრან-ვიაზმის, მოსკოვ-კურსკის და სამარა-ზლატოუსტის სახელმწიფო რკინის გზები, აგრეთვე ვარშავა-ვენის, ლოძის, კავკავის, სამხრეთ-აღმოსავლეთის, რიაზანო-ურალის, მოსკოვ-ვინდავა-რიბინსკის კერძო გზები აცხადებენ, რომ პასუხს არ აგებენ, თუ საქონელი დროზედ ვერ მიიღეს პატრონებმა. პრუსიის რკინის გზის სამმართველოსაც შეუტყობინებია გზათა სამინისტროსათვის, რომ აღარ იღებს საქონელს ვარშავა-ვენის რკინის გზების სადგურებზე გასაგზავნად. („სლოვო“).

რედაქტორების პეტიცია პერიოდულ გამოცემების თოთხმეტ რედაქციას წარუდგენია ბეჭდვითი საქმის კომისიის თავმჯდომარისათვის პეტიცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ რედაქციები არავითარ შედეგს არ მოელიან კომისიის მუშაობისაგან—რუსულ პრესის მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებენ, ისეთი წევრებია მიწვეული კომისიაშიო. („რ. ს.“).

ებრაელების დაწიოკება. 7 თებერვალს ფეოდოსიაში გაიფიცნენ თამბაქოს ფაბრიკის მუშები, შემოუარეს სტამბებსა და სახელოსნოებს და ყველგან შესწყდა მუშაობა. საათის პირველამდე მშვიდობიანობა იყო, მაგრამ ერთბაშად მუშებმა თავი მოიყარეს ქალაქის გამგეობის შენობასთან და გაიმართა დემონსტრაცია.

სრულიად მოულოდნელად ბრბოში გაისმა ძახილი—„მოსცხეთ ურიებს“-ო და ხალხი გაიფანტა სხვა-და-სხვა ქუჩებში, სადაც ებრაელების დუქნები ეგულებოდათ. ასტყდა წივილ-კივილი; დუქნები დაჰკეტეს. გამოიწვიეს ჯარი და ებრაელების დაწიოკებაც შესწყდა, გარდა ქალაქის განაპირა ადგილებისა.

დაშავებულია დაახლოვებით 50 ურია, მათ შორის ერთი მოხუცი სასიკვდილოთ. ამ ამბების გამო შეშინებულმა ებრაელებმა და ბევრმა რუსმაც სასტუმროებს მიჰმართეს და აქ შეაფარეს თავი; ბევრი ქალაქიდან წავიდა. („რ. სლ.“).

თ ე ა ტ რ ი

ქართული დრამა (ბენეფისი გლ. ალექსი-მესხიშვილისა, 17 თებერვალი. „კაი გრაკხი“, დრ. 5 მოქ. მონტისა, თარგ. ი. მაჩაბარიანისა). ის დრო, როდესაც ძმები გრაკხები, ტიბერი და კაი, მოქმედებდნენ, იყო დრო მონობისა და არისტოკრატთა ბრძანებლობისა. რომმა თითქმის მთელი ქვეყანა დაიპყრო, ბოლო მოუღო უწინდელ საბერძნეთს, დაიმორჩილა ძლიერ ალექსანდრე მაკედონელის იმპერია, დაამხო კართაგენი. ყველგან ძლევა-მოსილ რომის დროშა ფრიალებდა, იმისი ჯარი თარეშობდა, იმისი მოხელენი ბრძანებლობდნენ. სახელმწიფო გადიდდა, გაფართოვდა, გამდიდრდა. მაგრამ ყველა ეს სარფა და სასარგებლო შეიქნა მხოლოდ არისტოკრატთათვის, ეგრედ წოდებულ პატრიციებისთვის. ამათ ხელში იყო უოველ გვარი უფლება (სენატის მეოხებით განაგებდნენ მთელ იმპერიას), ამათ ეკუთვნოდა მიწა-წყალი და ემორჩილებოდა ჯარი. ამ არისტოკრატებს ექვემდებარებოდა მთელი სახელმწიფო, რომელსაც შეადგენდნენ უფლება მოკლებული, პირუტყვად ქცეული მონები, ქალაქის ულუკმა-პუროდ დარჩენილი პროლეტარიატი და სოფლის უმიწა-წყლო მკვიდრნი, ბოგანონი. უზარმაზარ სახელმწიფოს მთელი სიმდიდრე ერთ მუჭა პატრიციების ხელში მოგროვდა და იმ დროს, როდესაც ხალხი, ყოველ სიმდიდრის საფუძველი და დასაწყისი, სახელმწიფოს დამცველი და გამაძლიერებელი, მშიერი იტანჯებოდა და რომის ქუჩებში პურსა თხოულობდა,—ამ დროს სახელმწიფოს გამგებელნი და არისტოკრატნი უზრუნველად სცხოვრობდნენ, ფუფუნებასა და გარყვნილებაში ატარებდნენ დროს· ყველაფერი იმათ სასარგებლოდ იყო: კანონი, სამართალი, ჯარი, მოხელენი. თვით ხალხი, უვიცი და გაუნათლებელი, თავსა სწირავდა იმათ, სისხლსა ღვრიდა აფრიკასა და აზიაში გარეშე მტრებთან და ნამდვილ მტერს-კი, თავის უბედურების მიზეზს, ვერა ხედავდა.

აი, ამ დროს [illegible] ბარეზზე [illegible] არ დაივიწყებს [illegible] წეობა. ისტორიამ [illegible] თავგამოდებული მოსარჩლენი [illegible] გრულ ხალხისა, როგორნიც [illegible] ძმანი იყვნენ. მთელ თავიანთ სიცოცხლეს [illegible] რვალობის [illegible] ტონეებს, [illegible] მას. ამ აზრით, ხანგრძლივ ბრძოლის [illegible] სხვა-და-სხვა კანონები. მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდნენ: ძლიერმა პატრიციებმა ორივე ცოცხლად გამოასალმეს (უფროსი ძმა ტიბერი მოჰკლეს 133 წელს, უმცროსი 121 წელს ქრისტეს დაბადებამდე). [illegible]

ზემოხსენებულ პიესაში გამოყვანილია [illegible] ერთი ძმა, კაი გრაკხი. ავტორი ამ კაის გვიხატავს ხალხისათვის თავ-გამოდებულ მებრძოლად. [illegible]

ჩვენ საზოგადოებას მეტად მოეწონა ეს პიესა. [illegible]

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ახალციხე. წარსულ ქრისტეშობის 26-ში, ახალციხის ქვედ ნაწილში, „რაბათში“ ადგილობრივ დედათა სკოლის შენობაში, ქ-ნ მ. გ. გამრეკელისა და ქ-ნ კ. ს. მეფისაშვილის თაოსნობით გამართულ იქმნა [illegible] მო.*) [illegible] ორი [illegible] ბიბილურის [illegible] **Птичка, буренушка, Кіевъ** და **Славься Славься.** [illegible]

გათავებისას [illegible]

---

*) ეს ის საქალაქო სკოლაა, რომელსაც [illegible]

მადლობის ღირსნი არიან ადგილობრივი მემამულე ბ. ვ. ბეზირგნიშვილი, რომელმაც რამდენიმე ხე შემოსწირა სცენის დასამშვენებლად, და აგრეთვე ისინი, ვინც ხელი შეუწყო „საღამოს" გამართვას.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო აგრეთვე შემდეგი სასიამოვნო გარემოება: აქაური საზოგადოება ამ უკანასკნელ ორ-სამს წელიწადს დიდ ხალისს იჩენს და დაუზარებლივ მართავს წარმოდგენებს საქველ-მოქმედო მიზნით. სცენის მოყვარეთ არა სჭირდებათ ჩვეულებრივი ხვეწნა-მუდარა, „დეპუტაციების" გზავნა, პროვინციალურ სცენის მოყვარეთა ჩვეულებრივი მანქვა-გრეხა გულს არ გისერავს. ყველა გამსჭვალულია საქმის სიყვარულით და მზადაა იშრომოს საზოგადო საქმისათვის. მათ ხალისს ხელს უწყობს ახალციხის კლუბიც, რომელიც უსასყიდლოთ უთმობს დარბაზს.

უკანასკნელ ოთხ-ხუთ თვეს რამდენიმე წარმოდგენა გაიმართა. დარბაზი ისე ივსებოდა ხალხით, რომ ნემსის კუნწი არ ჩავარდებოდა.

აღსანიშნავია წარმოდგენა 21 ნოემბრისა რუ- 1904 წ. ითამაშეს სულად: **„По горячимъ слѣдамъ"** რუტკოვსკისა და ქართულად ისეთი ძნელი პიესა, როგორიცაა „ხანუმა" განსვენებულის ასიკო ცაგარლისა. შემოსავალი სანახევროდ გაინაწილა „წითელმა ჯვარმა" და ჩვენმა საქალებო სკოლამ. სანაქებოდ ჩაიარა აგრეთვე 22 იანვარს გამართულსა პიესამ—„და-ძმა" ვალ. გუნიასი.

სათითაოდ არ ვასახელებთ არტისტებს. მათ სასაქებოდ, ვიტყვით მხოლოდ, რომ თითქმის უნაკლულოდ თამაშობენ ისეთ ძნელ სასცენო პიესებს, როგორიცაა „და-ძმა" და „ხანუმა".

ივ. დიღმელი

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! ამასთანავე გასხდებთ 23 მ. და 60 კ. ფულად და თოთხმოცამდე სხვა-და-სხვა ქართულ წიგნს.

ეს ფული და წიგნები შევაგროვე ქართველებს შორის და გთხოვთ გადასცეთ მეტეხის საპყრობილეს, სადაც არსებობს წიგნთ-საცავი, მაგრამ არ მოიპოვება ქართულ წიგნების განყოფილება. ადვილად წარმოსადგენია ქართველ ტუსაღების მდგომარეობა, რომელნიც სრულიად მოკლებულნი არიან სულიერ საზრდოს. იმედი მაქვს, ამით საფუძველი დაედება ქართულ წიგნების [illegible] და ჩვენი ავტორნი და [illegible] [illegible] არ დაიშურებენ [illegible] [illegible] მიაწოდონ ბედისაგან დაჩაგრულ და ცხოვრებისაგან გარიყულ თანამოძმეთ.

აი, შემომწირველთა სია:

1) უცნობი პირი—10 მან. 2) ეკ. მა-ნისა 1 მან., 3) თ-დი გრ. დიასამიძე 5 მან. 4) ბ. ა. ზედგინიძე 1 მან. 5) ბახუტოვი 1 მან. 6) ფანიევი 2 მან. 60 კაპ. 7) ი. ი. ნატროევი 1 მან., 8) ა. ახნაზაროვი 1 მან., 9) ს. ს. ფერნაძე 1 მან. სულ 23 მან. 60 კაპ.

წიგნები: 1) ალ. ჭყონია—ორი ეგზემპლიარი „ისტორიული ნარკვევი" ალ. ჭყონიასი და 4 სხვ. წიგნი. 2) თ-დ. ვეზიროვი—10 ნომერი „მოამბისა" 1900 წ. 3) დ. გაბრუაშვილი—64 სხვა-და-სხვა წიგნი.

იოსებ მაჭავარიანი.

სავალდებულო დადგენილება

გამოცემული ქუთაისისა და იმის მაზრისთვის, აგრეთვე სენაკისა და ოზურგეთის მაზრებისათვის („კავკაზი" № 44).

I

სასროლ იარაღის ხმარება და ვაჭრობა

1. სასტიკად აკრძალულია ქალაქ ქუთაისსა და ქუთაისის, სენაკის და ოზურგეთის მაზრებში სასროლ იარაღის ტარება, აგრეთვე ტარება ხმლისა, ხანჯლისა, ბებუთისა, ფინურ დანისა, კასტეტებისა ა ისეთ ტროსტებისა, რომელშიც დანა ან ხმალია.

2. ზოგიერთ საპატიო პირობებში ქუთ. გუბერნატორის ნება-რთვით შეიძლება ხანჯლებისა და ების ტარება. შუამდგომლობა ამის შესახებ ერნატორს უნდა წარედგინოს ქუთაისის პოლიცტრისა და მაზრის უფროსის მეოხებით; მოწპოლიციას მოთხოვნილებისათანავე უნდა წაინოს.

სამხედრო სამსახურში მყოფნი და ის სააქო[illegible] მოსამსახურენი, რომელთაც იარაღის ა შეუძლიანთ, ამ დადგენილებას არ ემორჩინ.

რავის შეუძლიან იყიდოს სასროლ იარაღა საომარ მასალით, თუ ამისთვის ქუთ. ატორის წერილობითი ნება-რთვა არ ექმნევარ ნება-რთვის მქონემ პირველ მოთხოვნიანავე უნდა წარუდგინოს ქალაქის პოლიდა გუბერნატორის მიერ დანიშნულ განსაკ მოხელეებს.

ც იარაღისა და საომარ მასალის ვაჭროქნება, იმან უნდა იქონიოს დაწესებულ ავთრები, სადაც შეტანილი იქნება რაოსახე იარაღის და მასალისა, ვის როყიდა იარაღი და მასალა და რა მოწმობის ძალით გაიყიდა. ეს დავთრები მოთხოვნილებისთანავე უნდა წარედგინოს პოლიციას და გუბერნატორის მიერ დანიშნულ მოხელეებს.

6. ბურღიანი თოფები და ყოველგვარ სისტემისა და ნიმუშის რევოლვერები, აგრეთვე მათი ტყვია-წამალი, შეუძლიან იყიდოს მხოლოდ იმან, ვინც ქუთაისის გუბერნატორის წერილობით ნებართვას წარუდგენს მაღაზიის პატრონს, რომ ნება ეძლევა ზემოხსენებულ სასროლ იარაღების შეძენისა. ნებართვის ბარათში აღნიშნულ უნდა იყოს, რამდენი იარაღის შეძენა უნდა ბარათის წარმომდგენს; მყიდველისაგან მიტანილი ბარათი უთუოდ უნდა შეინახონ მაღაზიის პატრონებმა, როგორც გასამართლებელი საბუთი;

7. ეს სავალდებულო დადგენილება არ შეეხება ხმალ-ხანჯლის ყიდვა-გაყიდვას;

8. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე დაისჯება ადმინისტრატიულის წესით, თანახმად წეს-რიგისა და მშვიდობიანობის დაცვის შესახებ გამოცემულ დებულების მე-15 და მე-16 მუხლებისა, 500 მან. ჯარიმით ან სამ თვემდე საპყრობილეში დაპატიმრებით ამ სასჯელისა და ჯარიმის გადაწყვეტა, თანახმად გაძლიერებულ დაცვის დებულების მე-16 სტ. 1-ლ მუხლისა, მიმინდვია ქუთაისის გუბერნატორისათვის;

9. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის 1905 წლის 1-ლ მარტიდან; ამასთანავე ეს დადგენილება აუქმებს ქუთაისის გუბერნატორის მიერ 1904 წ. 21 იანვარს ქუთაისის გუბერნიისათვის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებას.

კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-ლეიტ. მალამა.

1905 წ., ქ. ტფილისი.

II

ყრილობების მოხდენა

1. აკრძალულია ქუჩებსა, მოედნებსა, სკვერებსა, ბაღებსა, რკინის გზის სადგურებსა და სხვა საზოგადო ადგილებში ყოველგვარი კრებანი და ყრილობანი ისეთ საგნებზე სათათბიროდ და სამოქმედოდ, რომელიც საზოგადოებრივ მშვიდობიანობისა და წესიერების წინააღმდეგია; აკრძალულია აგრეთვე თავის მოყრა ცნობის მოყვარე საზოგადოებისა;

2. თავმოყრილნი მოვალენი არიან პოლიციის პირველ მოთხოვნილებისათანავე დაიშალნენ;

3. აკრძალულია სროლა თოფ-რევოლვერებისა, როგორც ქუჩებსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, ისე სახლებიდანაც;

4. ვინც დაუყოვნებლივ, ყოვლის უარის უთქმელად, არ დაემორჩილება პოლიციის მოთხოვნილებას, აგრეთვე ვინც ამ სავალდებულო დადგენილების მე-3 მუხლს დაარღვევს, დაისჯება ადმინისტრატიულის წესით, თანახმად სახელმწიფოში წეს-რიგისა და მშვიდობიანობის დაცვის შესახებ გამოცემულ დებულების მე-15 და 16 მუხლისა, 500 მან. ჯარიმით ან 3 თვემდე დაპატიმრებით. ამ სასჯელისა და ჯარიმის გადაწყვეტა, თანახმად გაძლიერებულ დაცვის დებულების მე-16 სტ. 1-ლ მუხლისა, მიმინდვია ქუთაისის გუბერნატორისათვის.

5. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან; ამასთანავე, აუქმებს ქუთაისის გუბერნატორის მიერ 1902 წ. ქუთაისის გუბერნიისთვის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებას.

კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელ გენ.-ლეიტ. **მალამა.**

15 თებერვალი, 1905, წ., ქ. ტფილისი.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

18 თებერვალი

სახეტუნი, 16 [illegible] თებერვალი. საღამოს 7 ს. და 44 წ. მარცხენა ბოლო ფრთაზე შეუპოვარი ბრძოლას მთელი დღე. იაპონელებმა ორ ადგილას მოიტანეს ჩვენზე იერიში; იერიში მოგვიტანეს აგრეთვე გაუტულინის უღელტეხილზე, საცა ხელ-ახლა ავიღეთ დილას წართმეული სიმაგრე. იაპონელები ზარბაზნებს ესროდნენ ორივე ფრთასა და ცენტრს. საალყე საველე ზარბაზნებიდან პუტილოვის გორაკს 2500 ყუმბარა ესროლეს. საღამოთი იაპონელები დაეცენ მარჯვენა ფრთას.

სახეტუნი, 17 თებერვალი. დილის 9 საათი და 40 წ. იაპონელებმა ღამით შემოუტიეს ცენტრს, იერიში მოიტანეს ჩვენს პოზიციებზე ერდაგუს აღმოსავლეთით და იმავე დროს არ ეშვებოდნენ ორივე ფრთებს, მაგრამ მაინც მოვიგერიეთ. პუტილოვის გორაკს ისევ ისე საშინლად უშენენ ზარბაზნებს. მოტანილი იერიში უკუგდებულ იქნა არტილერიის ძლიერი სროლით. უკუგდებულ იქნა აგრეთვე მეორეჯერ, შუადღისას, მოტანილი იერიშიც. თუმცა იაპონელებს დიდი ზარალი მოუვიდათ, მაგრამ პუტილოვის გორაკს მაინც არ უსვენებენ. ახალ იერიშს ველით. ნოგის პორტ-არტურელი ჯარები შევამჩნიეთ ორივე ფრთისა და ცენტრის წინ. მარცხენა ფრთაზე ისევ ბრძოლაა. აღმოსავლეთის რაზმმა კუდიაზას პირდაპირ მოიგერია უძლიერესი იერიში. გოუტელინის უღელტეხილს მაინც არ ეშვებიან. ორივე მხარეს დიდი ზარალი მოუვიდა. საბოლოოდ ჯერ არ გარდაწყვეტილა საქმე. მარჯვენა ფრთაზე იაპონელები გვეცემიან ხუნხესა და ლიაოხეს გასწვრივ.. განსაკუთრებით ძლიერი ბრძოლაა სანტანცზის სამხრეთით. სინმინტინში იაპონიის კავალერია გამოჩნდა.

სახეტუნი, 17 თებერვალი. საღამოს 8 ს. და 5 წ. იაპონელები ენერგიულად უტევენ მარჯვენა ფრთას; ხუნხეს მარცხენა ნაპირზე შეუპოვარი ბრძოლაა. ოთხმა დივიზიამ შემოუარა ჩვენს მარცხენა ფრთასა და მიაღწია დღეს სავინპუს, მუკდენის დასავლეთით, 18 ვერსტის მანძილზე. ჩვენი ჯარები შეხვდნენ მათ და ხელი შეუშალეს.

ჩიფუ, 17 თებერვალი. დღის 4 ს. და 5 წ. გუშინ ჩიფუსთან გამორიყა მოცურავე ნაღმი. ჩინელებმა თვალიერება დაუწყეს ნაღმმა იფეთქა. 13 კაცი ნაკუწ-ნაკუწად იქცა. მოვიდა ორი იაპონელი ნაღმოსანი პორტ-არტურიდან და მოიყვანა იქ დაღუპული გერმანელი აგენტის ალჰენჰეიმის ძმა.

პეტერბურგი, 18 თებერვალი. უმაღლესი მანიფესტი: **„წყალობითა ღვთისათა ჩვენ ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვით-მპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა ვუცხადებთ ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ: ღვთის მიუწდომელმა განგებამ კეთილ ინება და მოუვლინა ჩვენს სამშობლოს დიდი განსაცდელი. რუსეთის სახელისა და ღირსების დასაცველად და აგრეთვე დიდ ოკეანეში ბატონობის განსამტკიცებლად ამტყდარმა ომმა მოითხოვა რუსის ხალხისაგან ძალთა გაორკეცება და შთანთქა მრავალი ძვირფასი და ჩვენთვის მახლობელი მსხვერპლი. იმ დროს, როდესაც რუსეთის მამცნი შვილნი თავ-გამოდებით იბრძვიან და სიცოცხლეს სწირავენ სარწმუნოებას, მეფესა და სამშობლოს, შიგნით სამშობლოში ასტყდა არეულობა მტერთა გასახარებლად და ჩვენდა სამწუხაროდ. მედიდურობით დაბრმავებული ამბოხების ბოროტ-მოქმედი მეთაურები შეეხნენ მართლ-მადიდებელ ეკლესიის მიერ ნაკურთხ და კანონების მიერ განმტკიცებულ ჩვენის სახელმწიფოს ძირითად საფუძვლებს და ამით ლამობდნენ წარსულთან ბუნებრივ კავშირის გაწყვეტას, აწ არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილების დარღვევას და ამის ნაცვლად ახალ მართვა-გამგეობის განმტკიცებას ისეთ საფუძველზე, რომელიც ჩვენ სამშობლოს არ შეეფერება. ბოროტი მკვლელობა დიდის მთავრისა, რომელსაც ესოდენ უყვარდა მოსკოვი და რომელიც უდროოდ დაიღუპა საზარელის სიკვდილით მოსკოვის კრემლის სამღვთო ნაშთთა შორის, ღრმად შეურაცხ-ჰყოფს ყველას გრძნობას, ვისთვისაც ძვირფასია რუსეთის სახელი და ჩვენის სამშობლოს დიდება. ყველა ამ ზეცით მოვლენილ განსაცდელს და უბედურებას მორჩილებით ვიღებთ და იმედი გვაქვს ღვთის მოწყალებისა, რომელიც რუსეთს მოევლინება ხოლმე. იმედი გვაქვს აგრეთვე ჩვენის ხალხის ერთგულებისა. მართლ-მადიდებელ ეკლესიის ლოცვა-კურთხევით, თვით-მპყრობელ მეფის მფარველობით და იმასთან კავშირით რუსეთს არა ერთხელ განუცდია დიდი ომები და არეულობანი და ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა. მაგრამ ამ ბოლო დროის [illegible] და ამის [illegible], რომელთაც ხელი შეუწყვეს ღალატისა და უწესოების გავრცელებას, გვავალებს ჩვენ მოვაგონოთ სახელმწიფო დაწესებულებათ და ყველა უწყებისა და ხარისხის მთავრობათ სამსახურის მოვალეობა და ფიცი და მოვუწოდოთ ყურადღების გასაორკეცებლად კანონის, წესიერების და უზრუნველყოფის დაცვისათვის ზნეობრივ და სასამსახურო პასუხის გების შეგნებით წინაშე ტახტისა და სამშობლოისა. ვზრუნავთ რა მუდამ ხალხის კეთილდღეობაზე და გვრწამს რა ღრმად, რომ უფალი ღმერთი, ჩვენის გამოცდის შემდეგ, გამარჯვებას მიანიჭებს ჩვენს იარაღს, ჩვენ მოვუწოდებთ ყველა წოდებისა და მდგომარეობის კეთილ-მოაზრე პირთ შეერთებულის ძალით დაგვეხმარონ ჩვენ სიტყვითა და საქმით მაგარ გარეშე მტრის დამარცხების წმინდა და დიდ საქმეში ღალატის აღმოფხვრაში ჩვენ მიწაზე და შინაურ არეულობის გონიერ წინააღმდეგობაში, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ მთელის ხალხის მშვიდობიან და მხნე სულიერ განწყობილების დროს შესაძლებელია იმ ჩვენ განზრახულებათა აღსრულება, რომელნიც მიმართულნი არიან ხალხის სულიერ ცხოვრების განახლებისა, მის კეთილდღეობის განმტკიცებისა და სახელმწიფო წესწყობილების გაუმჯობესებისაკენ. შემოკრბენ ჩვენის ტახტის ირგვლივ ყველა რუსები, ერთგულნი სამშობლო ქვეყნის აღთქმებისა, საზრუნავად ყოველ სახელმწიფო საქმეზე პატიოსნებით, სინიდისით და თანახმად ჩვენის აზრისა და მისცეს უფალმა რუსეთის სახელმწიფოს და მწყემსებს სიწმინდე, მმართველებს—სამართალი და სიმართლე, ხალხს—მშვიდობიანობა და მყუდროება, კანონებს—ძალა და სარწმუნოებას—გაძლიერება ჭეშმარიტ თვით-მპყრობელობის განსამტკიცებლად ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთა სასიკეთოდ. ბოძებულია ცარსკოე სელოში თებერვლის 18 დღეს, დაბადებიდან ქრისტესა 1905 წელს, მეფობისა ჩვენის მეთერთმეტეს".** ნამდვილზე [illegible] თავის ხელით აწერია: **„ნიკოლოოზ".**

პეტერბურგი, 19 თებერვალი. უმაღლესი ბრძანება სენატისადმი 18 თებერვალს. ვზრუნავთ რა განუწყვეტლივ სახელმწიფო წეს-წყობილების კეთილ-მოწყობასა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაზე, სასიკეთოდ ვცნობთ შეძლება მივსცეთ საერთო სარგებლობასა და სახელმწიფო საჭიროებებზე მზრუნავ ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომებს, რომ პირდაპირ მოგვესმინოთ მათ. ამიტომ გვიბრძანებია დავევალოთ მინისტრთა საბჭოს ჩვენის თავმჯდომარეობით განხილვა და განსჯა კერძო პირების და დაწესებულებათა ყველა იმ განზრახვებისა და წინადადებათა, რომელნიც ეხებიან სახელმწიფო წესწყობილებისა და ხალხის კეთილ-დღეობის გაუმჯობესებას.

პეტერბურგი, 17 თებერვალი. მოსკოვის სავაჭრო-სამრეწველო წოდებისაგან წარდგენილ უქვეშევრდომილეს ადრესზე ხელმწიფე იმპერატორმა ამა თებერვლის 10-სა უმოწყალესად კეთილ ინება და საკუთარის ხელით წააწერა: „გულით ვმადლობ მოსკოვის სავაჭრო-სამრეწველო წოდებას ჩემდამი გამოთქმულ გრძნობებისათვის; ამ მძიმე განსაცდელის დროს, რომელიც მოევლინა ჩვენს სამშობლოს, ჩემთვის მეტად სასიამოვნოა ვიცოდე, რომ ხსენებული წოდება რჩება ერთგული ჩვენი სახელმწიფო წეს-წყობილების უძველესი დედა აზრისა". მოსკოვის სავაჭრო-სამრეწველო წოდების უქვეშევრდომილესი ადრესი შემდეგის შინაარსის იყო: „ყოვლად მოწყალეო ხელმწიფეო! შინაგანი დღევა, რომელიც მოედო რუსეთს, ამ უკანასკნელს დროს, როცა იგი ამისთანა გასაჭირშია, რის ბრალი გარეგან საქმეებს ედება, მცხოვრებლების ყველა წრეს აწუხებს და დაღვრემილების დაღს ასვამს მათ ცხოვრებას. სწორედ ასეთ ძნელ მდგომარეობის დროს შინაგანი ოლქის სავაჭრო-სამრეწველო წოდება უსაზღვრო მორჩილების გრძნობას უცხადებს თქვენს იმპერატორებითი უდიდებულესობას და სთვლის თავს ერთგულ ქვეშევრდომულ ვალად გამოსთქვას შეურყეველი რწმენა, რომ მხოლოდ თვით-მპყრობელობის ხელმძღვანელობის ქვეშ შეიძლება რუსეთის ძლიერების, მისის მთლიანობისა და [illegible] წარმატების საქმე. მას მტკიცედ სწამს, ყოვლის შემძლებლის შეწევნითა ღვთისათა თქვენ, ხელმწიფევ, თქვენს სამშობლოსადმი სიყვარულში ჰპოვებთ ძალას, რათა გამოიყვანოთ რუსეთი მისის ეხლანდელ გაჭირვებული მდგომარეობიდან, რისთვისაც მოუწოდეთ სახელმწიფოსათვის სამუშაოდ თქვენ ქვეშევრდომებს, რომელთაც გამოცდილებით იციან საარსებო მოთხოვნილებანი ხალხის ცხოვრებისა. სავაჭრო-სამრეწველო წოდება, მბრუნავი შრომის სფერაში, რაც სამშობლოს ერთ მატერიალურ კეთილ-დღეობათაგანს შეადგენს, მზათაა მოუტანოს თვისი ძალნი და ცოდნანი, რათა თქვენი ბრძანებისამებრ ემსახუროს სამშობლოს. მას სწამს, რომ გაჰქრება მოგონება [illegible] მძიმე განსაცდელისა და სახელი თქვენი, ხელმწიფევ, აღუფხვრელი დარჩება თქვენი იმპერატორებითი უდიდებულესობის მადლობელი ხალხის გონებაში". (შემდეგ ხელს აწერენ).

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

17 თებერვალი.

ტოკიო, 17 თებერვალი. ოფიციალური. იაპონელთა რაზმი ცუგოს დაჭერის შემდეგ, როცა ბევრი საზრდო იგდო ხელთ, გაემგზავრა სინკინიდან ჩრდილოეთით. ბენსიხუსთან ახლოს იაპონელებმა განაძევეს რუსები ახლო-მახლო პოზიციებიდან. იაპონელნი გაემართნენ შახესაკენ და დაიჭირეს სანტუპაიცზი და ჩიპჩინ-ხუტუნი ვეიტუშანის ჩრდილოეთით სამი მილის მანძილზე. რუსეთის არტილერია გზის ორივე მხრით ესვრის იაპონელების პოზი[illegible]

გონკონგი. ექსპერტმა, [illegible] დაათვალიერა რუსების გემები, ჩაძირული პორტ-არტურთან, განაცხადა, რომ სამი-ოთხი გე-

მის მდგომარეობ
ნამიტის და სხვა
ბის წყალობით,
რისა და ბოლო
ეს უკანასკნელ
ლიაო.

ლონდონი
ნილი დეპეშ
პონიის 600
სინმინტინში
სების სადგუ
პონიის გზ
სცავს. იაპ
ცხვით 10000
აღმოსავლეთითაა
კიდევ იმას იქით
მოდიან. ფიქრობ
რა არ გამოცხა
დღეს დილით
ყაზახებსა და ია
-მტკიცე
კუპენის
რიცხვი
ნელ აფ
დაიძრიათ
ეთით, მაგრამ
და მიიღეს ბრძან
ლები [illegible]
ბა შეჩერდა. [illegible]
სვლა შეწყდა.

ხარბინი. „რეიტერის
დეპეშის შესახებ, ვითომც რკ
დი ტელინსა და კოუანის შო
ულიაო, ჩვენ მონდობილი გვაქ
მოსავლეთის გზის მმართველის
ხადოთ, რომ ეს ცნობა მტკნა
ხიდი მუშაობს.

მინსკი, 17 თებერვალი.
მშობლებმა და პედაგოგიურ პერს
ჰქონდათ, რა ზომები მიიღონ,
დებულებში მ რი უწესოებანი მ
თის

პარიზი.
წასვლაზე
რუსეთის ს
ხელის მო
მეტი შეიკრ

დვინსკი,
პედაგოგებს
მზრუნველის
ჰქონდათ.
სამს უფროს

ტოკიო.
სესიის დროს
მ იენა.

განცხადებანი



СѢДЕЛЬН СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ—176—105)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ქუთ[illegible]

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. [illegible] დებ[illegible] ენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

პირველი საწყობი შეშისა

ბ. ი. კურცხალიასი

ცუდად დაწყობილი

კარგად დაწყობილი

ანდრეევის ქუჩა დამოენის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საქნობითაც და ფუთობითაც მყიდველს ნება აქვს შეში

საჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

(90—4)

გამგე ნიკოლოოზ პავლეს ძე კიკნაძე.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული"

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყმაწვილთათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი [illegible] ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან, [illegible]

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა დ[illegible] 3 მან. ნახევარის წლით ორივე გამოცემა 2 მ. 50 კაპ.; [illegible] შემოიტანოს. ფასი თითო ნომრისა: მოზრდილთ [illegible] რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი [illegible]

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „[illegible] ჟურნალის აგენტებთან.

(0—შ.—32)

ფოსტის ადრესი [illegible]

და გააგდებიან თეში თითო მან. იმათ, სად [illegible] ქმათა—15 [illegible] მთიდ-დაგლეჯილებულის დემურიას. [illegible] აძრწიან ისინი მინდვრიაში და [illegible] მხარეს, ეგზო შადულის ისინი, ერთდებიან [illegible] ბოლონი. იქნევენ ხელებს, [illegible] ჩიან ევირიან, და როცა [illegible]

Доз. цен. Тифлисъ, 18 февраль 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва.